საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 6 მარტი. 2020 წ. №41 (8967) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გულმავიწყობა და უმადურობა კორონავირუსზე მძიმე დაავადებაა

გულმავიწყობამ, ისტორიის არცოდნამ, ხშირად ბრმა მიმბაძველობამ მიგვიყვანა ალოგიკურობამდე, ანუ თუ რუსეთის იმპერიაში და საბჭოთა კავშირში ყოფნის წლებს უხსენებელ საშინელებად და სიცარიელედ ვთვლით, მაშინ უნდა დავეთანხმოთ სააკაშვილის ბოდვას, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ იწყება.

6

კელი დეგნანი: საქართველო გლობალურ კრიზისს კარგად ართმევს თავს!

ვფიქრობ, რომ საქართველო კორონავირუსთან დაკავშირებულ გლობალურ კრიზისს ძალიან კარგად ართმევს თავს, ქვეყანა სამაგალითოა რეგიონში, — ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ჯანდაცვის მინისტრთან ეკატერინე ტიკარაძესთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მინისტრმა დიპლომატს კორონავირუსის პრევენციის ღონისძიებები დეტალურად გააცნო და ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ მას რამდენიმე ქვეყანაში მოუწია მოგზაურობა და საქართველო აეროპორტში კონტროლის მასშტაბებით ნამდვილად გამოირჩეოდა.

თანამედროვე დეტექტივი

ერთი სურათის თავგადასავალი

8

მერაბიშვილი, დიდი ალბათობით, ხელისუფლებას შიგნიდან ააფეთქებს?!

4



5

სოლიკო ხაბეიშვილი:

მე მომკლეს და ნუ ეძებთ ნატყვიარს...

...აქ, ციხეში, საკუთარ თავს ძალიან დავუმეგობრდი

როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან კორონავირუსი, გრიპი და გაცივება

ერთი შეხედვით, ახალი კორონავირუსის, „ჩვეულებრივი გრიპისა“ და „მარტივი გაცივების“ სიმპტომები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. თუმცა განსხვავება ნამდვილად არის. საყურადღებოა, ნიშანდობლივ რით განსხვავდება ახალი კორონავირუსი გრიპისგან? ან რა საერთო და განმასხვავებელი სიმპტომები აქვთ გრიპსა და გაცივებას?

ახასიათებს თუ არა ახალ კორონავირუსს სურდო?

FHF8 ახალი კორონავირუსის ტიპური სიმპტომებია:

- **სიცხე;**
- **მშრალი ხველა;**
- **სუნთქვის გართულება;**
- **კუნთების ტკივილი;**
- **დაღლილობა/სისუსტე;**
- **იშვიათი სიმპტომებია: ნახველი, თავის ტკივილი, სისხლიანი ნახველი, დიარეა.**

ახალი კორონავირუსის არატიპური სიმპტომებია:

- **სურდო;**
- **ყელის ტკივილი.**

სურდო და ყელის ტკივილი არის ზედა სასუნთქი გზების ტიპური ინფექციური სიმპტომები. ვისაც მუდმივად აცემინებს და სურდო აქვს, სავარაუდოდ, გაციება ან „ჩვეულებრივი გრიპი“ აღენიშნება. რადგანაც ახალი კორონავირუსი უფრო ქვედა სასუნთქ გზებს ეხება, ინფიცირებულებს, როგორც წესი, აქვთ მშრალი ხველა, სუნთქვის უკმარისობა და/ან ფილტვების ანთება, მაგრამ არა — ყელის ტკივილი.

ახალი კორონავირუსის ტიპური სიმპტომები ყოველთვის ვლინდება?

არა, ის ხან ვლინდება, ხან კი — არა. დაავადებულთა უმრავლესობის შემთხვევაში ახალი კორონავირუსის ინფექცია მსუბუქი სიმპტომების ფონზე ან სულაც ყოველგვარი გამოვლენის გარეშე მიმდინარეობს. ინკუბაციის პერიოდი კი, რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემებით, 14 დღემდე გრძელდება.

თუ თქვენ გარკვეული სიმპტომები გაეჭვებთ ან უბრალოდ გეშინიათ, ყოველი შემთხვევისთვის მიმართეთ ექიმს. ეს უკანასკნელი სინჯს ლაბორატორიაში გაგზავნის, მიღებული შედეგი კი ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

გრიპი თუ გაცივება? რა განსხვავებაა მათ შორის?

„ჩვეულებრივი გრიპისა“ და „მარტივი გაცივების“ ერთმანეთისგან გარჩევა ხშირად ექიმებსაც კი უჭირთ. გაციებისას, როგორც წესი, ყველაფერი ყელის ტკივილითა და სურდოთი იწყება, ხველებით გრძელდება. რამდენიმე დღის განმავლობაში პაციენტს ყელის ტკივილი, სურდო, ნახველით ან მშრალი ხველა, მომატებული ტემპერატურა, თავის ტკივილი და სისუსტე აღენიშნება.

გრიპი, როგორც წესი, მოულოდნელად და მაღალი ტემპერატურით იწყება. პაციენტს თავის, სახსრებისა და ყელის ტკივილი, მშრალი ხველა, ხმის ჩახლეჩა, 41 გრადუსამდე ტემპერატურა (ხშირად კანკალი) აღენიშნება. ამ დროს ადამიანს სურს იწვეს, თავს სუსტად გრძნობს, უმადობა აქვს და შეუძლია საათობით იძინოს.

გაციების სიმპტომები, როგორც წესი, რამდენიმე დღის შემდეგ სუსტდება. გრიპი კი უფრო ხანგრძლივია. ის, სულ ცოტა, ერთ კვირას და ხშირად რამდენიმე კვირასაც კი გრძელდება. ამიტომაც ექიმები გრიპის საწინააღმდეგო აცრას უწევენ რეკომენდაციას. ამ მხრივ, მაღალი რისკის ჯგუფს 60 წელს გადაცილებული და ქრონიკული დაავადების მქონე, ნებისმიერი ასაკის ადამიანები მიეკუთვნებიან. ამ კატეგორიაში არიან ფეხმძიმეები და მომსახურე სფეროს წარმომადგენლები.

შატილში დამწვარი სკოლა-პანსიონი მალე აღდგება

მთის ფონდიდან გამოიყოფა 1,5 მილიონი ლარი იმისთვის, რომ უახლოეს პერიოდში, ჩვენ შატილში ბავშვებს აღვუდგინოთ სკოლა-პანსიონი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ შატილში სკოლა-პანსიონი დაიწვა 2019 წლის ოქტომბერში. ჩვენ მაშინ გავეცით დაპირება, რომ უახლოეს პერიოდში აღვადგენთ ამ სკოლა-პანსიონს. კლიმატური პირობები გვაძლევს შესაძლებლობას, რომ უახლოეს პერიოდში დავიწყოთ კონკრეტული სამუშაოები. რა თქმა უნდა, ეს დაპირება შესრულდება“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ჩვენს ეკონომიკურ ზრდაზე ვირუსის ზემოქმედებას მინიმალური ზეგავლენა უნდა ჰქონდეს

ჩვენ საკმაოდ ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს ეკონომიკურ ზრდაზე ამ ვირუსის ზემოქმედებას ჰქონდეს მინიმალური ზეგავლენა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, შესაბამისი დავალებები უკვე გაიცა და ეკონომიკის სამინისტრო უახლოეს დღეებში შეხვდება დარგის წარმომადგენლებს. მთავრობის მეთაურის თქმით, მთავრობა ფინანსთა სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ზეგავლენა იყოს მინიმალური.

„კორონავირუსის წინააღმდეგ უწყებათაშორისი საბჭო აგრძელებს აქტიურ მუშაობას. ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკაზე ზემოქმედების შემსუბუქებას. მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უკვე საკმაოდ სერიოზულად აფასებენ ამ ვირუსის შედეგის ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე და გლობალური ეკონომიკური ზრდის შემცირების სერიოზული პროგნოზები არსებობს. რა თქმა უნდა, მცირედი ზეგავლენა დღევანდელი დღისთვის ამას უკვე ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე, პირველ რიგში, კი იმ დარგებზე, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ტურიზმთან. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს პრობლემა მთავრობის მოსაგვარებელია. ჩვენ გამოვიყენებთ ყველა იმ ინსტრუმენტს, რომელიც მთავრობის ხელშია, როგორც მონეტარული, ასევე ფისკალური თვალსაზრისით“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა ექიმებს, მესაზღვრეებს და მებაჟეებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს, პოლიტიკურად ანგაჟირებულ ჩვენს კოლეგებს ჰგონიათ, რომ ვირუსი სამიზნეს პოლიტიკური შეფერილობით ირჩევს, ეს ის ბრძოლაა, სადაც ყველამ ერთად უნდა გავიმარჯვოთ.

მთის კანონის შეღავათებით 58 სოფლის 25 000-ზე მეტი მოქალაქე ისარგებლებს

მთის კანონი იქნება კიდევ ერთი ეფექტური ნაბიჯი იმისთვის, რომ სახელმწიფომ მხარი დაუჭიროს განსაკუთრებულ პირობებში სოფლად მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, - ამის შესახებაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ისაუბრა.

„დღეს ჩვენ განვიხილავთ ე.წ. მთის კანონში შესატანი ცვლილებებს, რომლის ძირითადი მიზანი საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების, მაღალმთიან სოფლად მცხოვრები მოქალაქეების სოციალური პირობების გაუმჯობესება გახლავთ. ეს კანონი შეეხება 58 სოფელს და დაახლოებით 25 ათას ჩვენს მოქალაქეს. ამ კანონის ძირითადი მიზანი მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ესეც იყო ჩვენი დაპირება, რომელსაც ჩვენ ასევე ვასრულებთ“.

კახა კალაძე: 110/40-ზე სისტემის ოპოზიციისთვის წარდგენა საუკეთესო გამოსავალია

„სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ კანონპროექტს მაჟორიტარების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა და 110/40-ზე სისტემის ოპოზიციისთვის წარდგენა სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ეს არის საუკეთესო გამოსავალი, სადაც ჩვენი თანაგუნდელების მხრიდანაც იქნება მხარდაჭერა და დარწმუნებული ვარ – ოპოზიციის მხრიდანაც.

ეს არის რეალურად იმის შესაძლებლობა, რომ ყველა პარტიას, თუ ექნება საზოგადოების მხრდაჭერა, 1%-იანი ბარიერის პირობებში საშუალება ექნებათ, მათი წარმომადგენლები იყვნენ 2020 წლის პარლამენტში. თუმცა, დაველოდოთ მოლაპარაკებებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

პატიმარი უგულავა „ფეისბუქით“ ერთობა!

არ მსურს, ჩემი გათავისუფლების საკითხი გახდეს ბარიერი მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მიღების პროცესში, რაც ქვეყანას, მის მშვიდობიან განვითარებას, ჰაერივით სჭირდება, – ამის შესახებ დედაქალაქის ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ „ფეისბუქზე“ დაწერა.

ის წერილში თანაგუნდელებსა და ოპოზიციას მიმართავს, რომ მისი პატიმრობა თავისი შეგნებული არჩევანი და საერთო ბრძოლის ნაწილია, ისევე როგორც მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მიღებაა ამ ბრძოლის მშვიდობიანი გადაწყვეტა.

„2020-ში არჩევნების მაქსიმალურად პროპორციული სისტემით ჩატარება მხოლოდ გააიოლებს ქვეყნის ამოცანას – ივანიშვილის რეჟიმის დამარცხებას. ამასთანავე ოპოზიციის დღევანდელი ერთობაა ამ ამოცანის აღსრულების მთავარი წინაპირობა. ეს ერთობაა და არა რომელიმე სისტემა, რაც ყველაზე მეტად აშინებს ივანიშვილს.

მეგობრებო, არ იდარდოთ ჩემზე, შევინარჩუნოთ ერთობა და ყველაფერი ვქნათ მაქსიმალურად პროპორციული სისტემის მისაღებად. სრული მხარდაჭერა თქვენ ამ ამოცანის მიღწევაში“, – წერს უგულავა.

ქუდზე კაცი – თავისუფლების მოედანზე 25 აპრილს!

„პატრიოტთა ალიანსი“ 25 აპრილს, თბილისში მასშტაბურ აქციას გამართავს. ამის შესახებ „2020NEWS“-თან პარტიის საპარლამენტო მდივანმა გოჩა თევდორაძემ განაცხადა. მისი თქმით, მასშტაბურ აქციაზე, თბილისში, „თავისუფლების მოედანზე 100 ათას კაცზე მეტი ადამიანი შეიკრიბება“.

ამასთან, როგორც თევდორაძემ განაცხადა, აქციის გამართვა საარჩევნო სისტემას, დავით გარეჯის საკითხსა და სამხედრო მიუმხრომლობას შეეხება.

„პატრიოტთა ალიანსი“ არ ფიქრობს, რომ 25 აპრილის აქცია დაგვიანებული იქნება. იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო სისტემის საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს.

„დაგვიანებული რატომ იქნება?! შეიძლება შეთანხმება იყოს მიღწეული ოპოზიციურ სპექტრსა და სახელისუფლებო ძალას შორის. ამის შემდეგ ეს პროცესები უნდა გადავიდეს საქართველოს პარლამენტში. პარლამენტში გადასული პროცესი ჩვენ ორჯერ ვიხილეთ – 2016 წელს და 2019 წლის ბოლოს, როდესაც ხელისუფლებამ თქვა და შემდეგ დაპირებული თემები აღარ გაიტანა“, – აცხადებს გოჩა თევდორაძე.

კორონავირუსი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მიმართულებით მთელ რეგიონზე მოახდენს გავლენას

EBRD-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს შთამბეჭდავს უწოდებს და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს პოზიტიურად აფასებს, – ამის შესახებ იურგენ რიგტერნიქმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრისას განაცხადა.

საუბრისას EBRD-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ვალუტის გაცვლით კურსთან, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან და ეკონომიკური ზრდის ტემპთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ დადებით ტენდენციებს.

„ძალიან კარგი და კონსტრუქციული შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და ფინანსთა მინისტრთან, რომელიც ამავდროულად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველია საქართველოს მხრიდან. ქვეყნის მიერ 2019 წელს მიღწეული წინსვლა საკმაოდ შთამბეჭდავია. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ძალიან კარგია, რაც გასულ წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინვესტიციების ოდენობის ზრდაზე აისახა – თითქმის 300 მილიონი ევროს კაპიტალდაბანდება განხორციელდა“.

განათლების სისტემის განვითარებაზე – $102.7 მილიონი!

საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა ახალი პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ პრეზენტაცია გამართეს. 102.7 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის მიზანია ადამიანური კაპიტალის განვითარება, სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი განათლებისა და ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის გზით.

მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში პროექტის ინფრასტრუქტურული კომპონენტი ხუთი ახალი სკოლის მშენებლობას, დაახლოებით 60 არსებული სკოლის რეაბილიტაციას, ასევე, სკოლისთვის მოსამზადებლად ბავშვზე ფოკუსირებული და თანამედროვე სკოლამდელი განათლების 150-ზე მეტი პროგრამის დანერგვას ითვალისწინებს.

ზურაბ ერისთავი – იდალგოს უნივერსიტეტში

მექსიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, იდალგოს შტატის პოლიტექნიკურ და მეტროპოლიტანურ უნივერსიტეტში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ზურაბ ერისთავის საჯარო ლექცია გაიმართა. მოხსენების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის, ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. ელჩმა ასევე ისაუბრა საქართველოს როლზე რეგიონში. ლექციის დასასრულს ზურაბ ერისთავმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

უნივერსიტეტში სტუმრობისას საქართველოს ელჩი ასევე გაეცნო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ აერონავტიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრს.

ირან-აზერბაიჯანის ჩაკეტილი საზღვრიდან საქართველოს მოქალაქეები ჩამოიყვანეს

„საქართველოს მთავრობამ შესაბამის ქვეყნებთან გამართული აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და ირანს შორის საზღვრის დაკეტვის გამო რჩებოდნენ ირანის ტერიტორიაზე, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებული პროტოკოლის დაცვით, შესაბამისი ტრანსპორტით საქართველოში ჩამოიყვანა“.

მისი თქმით, მოქალაქეებს საქართველოს საზღვარზე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები დახვდნენ. მათ ადგილზე შესაბამისი შემოწმება გაიარეს და სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტით საკარანტინე დაწესებულებაში გადაიყვანეს.

რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო ხაზთან კიდევ ერთი ჩვენებური დააკავეს

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთში მცხოვრები ქალი დააკავეს. ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ადასტურებენ.

„ვადასტურებთ უკანონო დაკავების ფაქტს, ამოქმედებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მიმდინარეობს მუშაობა მის გასათავისუფლებლად“, — აცხადებენ სუს-ში.

მაქართას მინერალური წყლის საბადო აუქციონზე იყიდება

პროგრამა „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაქართაში არსებულ მაქართას მინერალური წყლის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 25-წლიანი ლიცენზია აუქციონზე გაიცემა.

ელექტრონული აუქციონი 11 მარტს დასრულდება. ლიცენზიის საწყისი ფასი 2 127 012 ლარია. აუქციონის პირობების თანახმად, პოტენციური ინვესტორი ვალდებულია, ლიცენზიის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში „მაქართის“ მინერალური წყლის შესწავლისა და ჩამოსხმის მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 10 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია. ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს არანაკლებ 25 მოქალაქე დაასაქმოს.

ამირან სალუქვაძე:
ეკლესიაზე შეტევის მორიგი საბაბი მიეცათ, ამ მავნებლებს!

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს:

„ეკლესიაზე შეტევის მორიგი საბაბი მიეცა ზუსტად იმ ძალებს, რომლებიც ტრადიციულად არიან ამ მავნებლობით დაკავებულნი.

მესმის, მოითხოვონ „ონლაინ“ წირვების ჩატარება. დეზინფექციას ითხოვენ.

სახელმწიფოს სთხოვენ, ომია და ხალხის გადაადგილება შეზღუდეთო, სამიზნედ მოსახლეობის ეკლესიაში სიარული აქვთ. ამ დროს თავად დადიან ტელევიზიებში და თოქ-შოუებში იღებენ მონაწილეობას, სადაც ცალკე დარბაზშია მაყურებელი, ცალკე მაგიდის ირგვლივ სხედან მონაწილეები.

ეკლესიაში სიარულის აკრძალვას რომ ითხოვთ, ჯერ თოქ-შოუები აკრძალეთ და გადადით „ონლაინ“ მონაწილეობაზე.

სუპერ/ჰიპერ მარკეტებში რიგები იდგა, რაც სრული აბსურდი და უცოდინრობაა, ხმა არ ამოგიღიათ, ეკლესია კი განერვიულებთ.

ახლა რაც შეეხება დეზინფექციას.

პირველი, ჯერ საკუთარი თავის, ბინების, ოფისების, ავტომანქანების დეზინფექციით დაიწყეთ, შემდეგ მიადექით ეკლესიას.

მეორე, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით ვირუსი მეტალზე, სპილენძზე 2 საათამდე ცოცხლობს. უფრო დიდხანს ცოცხლობს მუყაოზე და პლასტიკატზე.

შესაბამისად, შეეშვით ეკლესიის დეზინფექციას. მილიონჯერ ითქვა, ვირუსი წვეთოვანი გზით გადაეცემა, 1-2 მეტრამდე მანძილზე.

ვირუსი დიდხანს ძლებს წყალში, საყინულეში ცოცხლობს წლობით და ა.შ.

უბრალოდ, არალოგიკურია, თუ ეკლესიაში არ შეიძლება სიარული, ან დეზინფექციას ითხოვთ, რატომ დადიხართ ხალხმრავალ თოქ-შოუებში, თან პირბადეების გარეშე, არც ტელევიზიების დეზინფექციას ითხოვთ.

პოსტი სახუმაროა. ნუ მიიღებთ სერიოზულად. აბა, იუმორის გარეშე როგორ ვუყურო ამ ყველაფერს.

სერიოზულად ერთს დავწერ. ძალიან ბევრ რესპონდენტს, ქვეყანას რომ მოძღვრავს, საკუთარი წესების და ღირებულებების თავზე მოხვევას რომ ცდილობს, რატომ ჰგონია, რომ ამის უფლება ან სათანადო ავტორიტეტი აქვს?!“.

როგორ გაძარცვა ტელეკომპანია „იბერია“ გენერალურმა პროკურორმა

„2020 წლის 5 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ტელეკომპანია „იბერია ტვ“-ის საქმის განხილვა. სასამართლომ სრულად გაიზიარა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებები და საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლოს განაჩენით დადგინდა, რომ: 2004 წლის იანვარში საქართველოს ახლადარჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადაწყვიტეს, ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის“ კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლებას ეკონტროლებინა. ამ მიზნით, შემუშავდა დანაშაულებრივი გეგმა, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და მისი მოადგილის გიორგი ლაცაბიძის მიერ განხორციელდა.

გიორგი ლაცაბიძის ხელმძღვანელობით გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და საგადასახადო რევიზია ბიზნესმენ **ზ.ო.**-ს კუთვნილი „ომეგა ჯგუფის“ მიმართ, რომელიც იმჟამად ახორციელებდა ტელემაუწყებლობას „იბერია ტვ“-ის სახით, ასევე საგამომცემლო და სამეწარმეო საქმიანობას. ამასთან, „ომეგა ჯგუფი“ ყველა ოფისში, მათ შორის ტელეკომპანია „იბერიაშიც“ განლაგდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, დალუქეს კომპანიის ინვენტარი, პროდუქცია და მომუშავე პერსონალი შენობებიდან გაყარეს, რამაც გამოიწვია ტელეკომპანია „იბერიის“ და გაზეთ „ახალი ეპოქის“ საქმიანობის შეწყვეტა და წარმოების გაჩერება.

შემდგომ, 2004 წლის შემოდგომაზე, გიორგი ლაცაბიძემ გენერალურ პროკურატურაში დაიბარა „ომეგა ჯგუფის“ წარმომადგენელი **ლ.ა.**, რომელსაც „ომეგა ჯგუფის“ კომპანიების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი პრობლემების მოგვარების და კომპანიის ტერიტორიიდან სპეციალური დანიშნულების რაზმის გაყვანის სანაცვლოდ „იბერია ტვ“-ს კატეგორიულად მოსთხოვა სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობა. ვინაიდან ხსენებული პირობის შესრულება „ომეგა ჯგუფის“ ბიზნესის გადარჩენის და საქმიანობის გაგრძელების ერთადერთი გზა იყო, კომპანიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, თანხმობა განეცხადებინათ ტელეკომპანიის სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობის უკანონო მოთხოვნაზე და მოგვიანებით ამის შესახებ გიორგი ლაცაბიძეს აცნობეს. ამის პარალელურად, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა თავისთან დაიბარა იმჟამინდელი ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავჯდომარე **დ.ქ.** და აცნობა, რომ ტელეკომპანია „იბერია ტვ“ ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა, რის გამოც ტელეკომპანიას მაუწყებლობა უნდა შეწყვეტოდა, ხოლო მაუწყებლობის ლიცენზია ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცეულიყო, საამისოდ **დ.ქ.**-ს უნდა უზრუნველეყო წილების დათმობის და გადაფორმების იურიდიული პროცედურები და მოეძებნა სანდო პირი, რომელსაც ლიცენზიას გადასცემდნენ.

პროკურატურის მიერ შემუშავებული ლიცენზიის დათმობის დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, 2004 წლის 7 დეკემბერს, **ლ.ა.** და „იბერია ტვ“-ს დამფუძნებლები დაიბარეს კოსტავას ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში ნოტარიუს **ნ.გ.**-სთან, სადაც ხელი მოაწერეს **დ.ქ.**-ს მიერ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტებს, რომლის თანახმადაც შპს „იბერია ტვ“ გაიყო ორ სუბიექტად და სამართალმემკვიდრეებად გამოცხადდნენ შპს „ტელეკომპანია აისი“ ტელელიცენზიის ნაწილში, რომელსაც გადაეცა №702 საეთერო საერთო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზია და შპს „იბერია ტვ“, რომელსაც გადაეცა დანარჩენი ქონება. აღნიშნულის შედეგად, „ტელეკომპანია აისის“ დირექტორი 100-პროცენტიანი წილის მფლობელი და შესაბამისად, ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მესაკუთრე გახდა **დ.ქ.**-ს მეგობარი **დ.კ.**, ხოლო შემდეგ **ბ.ნ.** 2007 წლის 12 სექტემბერს, ზურაბ ადეიშვილის მითითებით **დ.ქ.**-მ ტელეკომპანიის ლიცენზია საკუთარი მეგობრის **ბ.ნ.**-სგან ფიქტიური ხელშეკრულებით ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებულ პირზე ი.მ.-ზე გადააფორმა, რომელმაც, თავის მხრივ, 2012 წლის 21 თებერვალს იგი შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ გადასცა და ლიცენზია კვლავ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირის **გ.ა.**-ს ხელში აღმოჩნდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ომეგა ჯგუფის“ მფლობელებმა შეასრულეს სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობის მოთხოვნა, მთავრობის დადგენილებით მოხდა „ომეგა ჯგუფის“ გადასახადების რესტრუქტურიზაცია და სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმაც დატოვეს „ომეგა ჯგუფის“ ტერიტორია. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის იძულებით დათმობას კი შედეგად მოჰყვა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის არსებობის შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, **ზურაბ ადეიშვილს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სამი წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ორი წლისა და სამი თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. გიორგი ლაცაბიძეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განესაზღვრა ჯარიმა 40 000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა სამი წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით დანიშნული სასჯელები შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 40 000 ლარის ოდენობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ორი წლისა და სამი თვის ვადით.**

ტელეკომპანია „იბერიის“ სამაუწყებლო ლიცენზიის იძულებით დათმობის ფაქტზე გენერალურმა პროკურატურამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა.

ალექსანდრე ავალიანი

მერაბიშვილი, დიდი ალბათობით, ხელისუფლებას შიგნიდან ააფეთქებს?!

ვის კარზე დააკაკუნებს მერაბიშვილი? ეს კითხვა ავიშვიშებულ საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა, როგორც კი „გვამებზე მონადირე“ მერაბიშვილმა საპატიმროდან ცხვირის გამოყოფისთანავე დააანონსა: ერთ წელიწადში, როცა ამ ხელისუფლებას დავამხობთ, „მატროსოვის“ ციხის კარს ფართოდ გავხსნით და ყველა პოლიტპატიმარს გავათავისუფლებთო.

დიახ, ვანო მერაბიშვილი „ოცნების“ ხელისუფლებას „დამხობით“ დაემუქრა. ის კი არ უთქვამს, მომავალ არჩევნებში „ოცნებას“ დავამარცხებთ და ჩვენ გავიმარჯვებთო, არა, კატეგორიული ტონით განაცხადა — არსებულ ხელისუფლებას „დავამხობთო“.

ასეთი „დამამხობლური“ განცხადების შემდეგ, რა თქმა უნდა, სენსაციების მოყვარული ტელეჟურნალისტები აზარტში ჩაცვივდნენ და „დამამხობელი“ მერაბიშვილის მისამართით კითხვების კორიანტელი დააყენეს: არჩევნებამდე დაამხობს ივანიშვილის ხელისუფლებას თუ არჩევნების შემდეგ? მარტო აპირებთ „ოცნების“ დამხობას თუ გაერთიანებულ ოპოზიციასთან ერთად? ახალ პარტიას შექმნით, თუ რომელიმე პარტიას წარუძღვებით მთავრობის დასამხობად? ამ და სხვა უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემისგან ნაცოლრაშმა მერაბიშვილმა ამჯერად თავი შეიკავა. განაცხადა: მაცალეთ ოჯახში მისვლა, დავჯდები, დავფიქრდები, სამოქმედო პროგრამას შევიმუშავებ და ამის შესახებ ფართო საზოგადოებრიობას ღიად და გამჭვირვალედ ვაცნობებო.

მას შემდეგ მერაბიშვილი ხალხში აღარ გამოჩენილა (თუ არ ჩავთვლით ქეიფის დროს რესტორანთან გამართულ ვანოს სალანძღავ აქციას) და ბუნებრივია, არც ის გაუმხელია, მარტო აპირებს ივანიშვილთან შერკინებას თუ ბრძოლის ველზე სათანამშრომლოდ რომელიმე პარტიას მიუკაკუნებს? ჩემი აზრით, თავის დროზე ნაცხერხემლად აღიარებული მერაბიშვილი არც ისეთი ლომგულია, რომ „მტერთან“ შესაბმელად ხმალი მარტომ იშიშვლოს, რაც უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, ამ საქმეში დასახმარებლად, ის სწორედაც რომ „ოცნებას“ მიუკაკუნებს.

რატომ მაინცდამაინც „ოცნებას“ და არა სხვა პარტიას? სხვებთან მისასვლელი პირი არა აქვს და იმიტომ. სხვებთან რატომ არ მიესვლება, აი, ეს მართლაც საკითხავია და მოდით, ეს საკითხი ერთად გავარჩიოთ.

ამ საქმეში სინათლის შესატანად, რომ იტყვიან, უჭკნობ „დოკუმენტად“ გამოდგება ნაცების უჭკნობი ბელადის მიხეილ სააკაშვილის მიერ ჯერ კიდევ მერაბიშვილის პატიმრობის პერიოდში გაკეთებული განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის მიუტევებელმა შეცდომებმა ჩაძირა და გადაიყოლა“. მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლამდე ერთი დღით ადრეც სააკაშვილმა თავის მორიგ „ფეისბუქ-ლაივში“, მისთვის ჩვეული სიდარბაისლით, მერაბიშვილს ურჩია, სახლში წავიდეს, დამშვიდდეს, დაისვენოს და პოლიტიკურ პროცესებში ჩარევისგან თავი შეიკავოს.

მაგრამ, თქვენ როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ, რაც ხაზეინყოფილმა სააკაშვილმა ნაცების კაცთმოძულე რეჟიმის წლებში ჩადენილი უსასტიკესი რეპრესიების, პატიმართა წამება-გაუპატიურების, უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩებში ჩაცხრილვის, ბიზნესმენთა დაყაჩაღება-დაჭერის, სხვა უამრავი დანაშაულის პასუხისმგებლობისგან ხელები დაიბანა და ყველა უბედურება ვანო მერაბიშვილის კისერზე გადაიტანა, აქვს კი ამ უკანასკნელს მშვიდად დასვენებისა და პოლიტიკისგან განდგომის უფლება?

არაო, აცხადებს ხაზეინყოფილისგან დადანაშაულებული ყოფილი პირველი პოლიციელი, პოლიტიკაშიც დავბრუნდები და ივანიშვილის ხელისუფლებასაც დავამხობო. თანაც დიდ დროს არ ითხოვს — ყველაფერ ამას ერთ წელიწადში დავასრულებო. იმას კი აღარ ფიქრობს, ასეთი მუქარის შემდეგ რა ხასიათზე დადგება მის მიმართ ისედაც აღრენილი ხალხი, ან გაუღებენ კი 7 წლის წინათ მიხურულ კარს სააკოვის მიერ დანატოვარი პარტიის ორად გაყოფილი ბოკვრები?

— არა მგონია, ან ერთმა, ან მეორემ, გნებავთ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გნებავთ, „ევროპულმა საქართველომ“ ნაცბელადისგან შერისხულ-გალანძღული, თანაც ციხიდან „ხელისუფლების დამხობის“ იარლიყით გამოსული თანაპარტიელი გულში ჩაიხუტონ და ამასთან ერთად, წინამძღოლობაც შესთავაზონ. ხალხს ნაცერაბიშვილი“, — ისეთი რიხით განაცხადა შავგულიძემ, თითქოს, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას, ელენე ხოშტარიას, რომან გოცირიძის, გრიშა ვაშაძის თუ ნიკა მელიას პარტიები, რომლებთანაც სიამოვნებით თანამშრომლობს, ცაში სულ მშვიდობის მტრედებად დაფრინავენ!

დიახ, ახლა, როცა იმათგან, ვისიც ეიმედებოდა, მერაბიშვილი ყველამ ქვის სროლით გამოისტუმრა, როგორ ფიქრობთ, რომელ პარტიას შეიძლება შეეკედლოს ნაპატიმრალი ნაცნადზორი, იმას ხომ არა, ვისაც „დამხობით“ დაემუქრა? რა თქმა უნდა, აბა „ოცნების“ გარდა სხვა რომელ პარტიას აქვს ავსულ ნაცებთან კოჰაბიტაციური თანაარსებობის გამოცდილება? ევროპული დემოკრატიის მაღალი ხარისხი, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებამ საქართველოში მტკიცედ დაამკვიდრა, მას ავალდებულებს, იმეგობროს და ითანამშრომლოს იმ ბოროტ ძალასთანაც კი, რომელიც მას „დამხობით“ ემუქრება. ირაკლი კობახიძემ აკი ღია ეთერითაც განაცხადა: ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები პირდაპირ გვავალებენ, ოპოზიციას ცივი ნიავი არ მივაკაროთ, შევინარჩუნოთ და ვითანამშრომლოთ როგორც ნაცებთან, ისე მათ მიერ მართულ მედიასაშუალებებთანო. ჰოდა, მერაბიშვილსაც მეტი რა უნდა, რაც უფრო ღრმად შეძვრება სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში, შიგნიდან მით უფრო სწრაფად შეძლებს ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობის აფეთქებას.

დასკვნისთვის ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის ვახტანგ ხარჩილავას სიტყვებს მოვიშველიებ: „ნაცმოძრაობა ფეხზე გამობმული ლოდივით ძირს, ფსკერისკენ ეძაჩება ქვეყანას. ან ამ ლოდს მოვიშორებთ და გადავრჩებით, ან ეს ლოდი ჩაგვძირავს და შეგვიწირავს!“



ჟეშმარიტად ასეა.

ოთარ ხუციშვილი

◎ პარტნიორიც ასეთი უნდა!..

როგორ აღმოჩნდა მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები საპარტნიორო ფონდის საკუთრებაში?

საპარტნიორო ფონდს კახეთში, საგარეჯოში, ერთი თვის წინათ 500 ჰექტარამდე ტერიტორია გადაეცა. მიწის ნაკვეთებს, რომლებიც 2010 წლიდან სახელმწიფო საკუთრებაში იყო, ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობა ამუშავებდა. სოფელ გიორგიწმინდის მოსახლეობა ითხოვს მიწების ნაწილი საკუთრებაში გადაეცეთ. მოსახლეობის პრეტენზიებს იზიარებენ საპარტნიორო ფონდშიც და ამბობენ, რომ გარკვეულ დათმობებზე წავლენ.

გიორგიწმინდაში მცხოვრები გიორგი გუგუტიშვილის თქმით, ფონდისთვის გადაცემული 500 ჰექტარი მიწიდან გარკვეული ნაწილი წლების განმავლობაში ადგილობრივებს იჯარით ჰქონდათ აღებული, თუმცა საიჯარო ხელშეკრულება დასრულდა. გლეხები ახლა მიწების შეძენას აპირებდნენ, მაგრამ გაიგეს, რომ ნაკვეთები უკვე საპარტნიორო ფონდის საკუთრებაა.

„მიწები, სადაც დღემდე მოსავალი მოგვყავს, აქამდე გაუფორმებელი გვქონდა. ახლა ერთ დღეში საპარტნიორო ფონდზე გადაფორმდა. როგორ შიძლება ისეთი მიწების გასხვისება, სადაც ზოგს ვენახი აქვს გაშენებული, ზოგს ხეხილის ბაღები?!“, — თქვა ფერმერმა გიორგი გუგუტიშვილმა.

3 მარტს სოფელ გიორგიწმინდაში გუგუტიშვილთან ერთად ათეულობით ადგილობრივმა გამართა აქცია მიწის დაკანონების მოთხოვნით. აქციის მონაწილეების თქმით, მათ შემთხვევით გაიგეს, რომ მიწები საპარტნიორო ფონდს გადაეცა. დახმარებისთვის მიმართეს მერიას, სადაც უთხრეს, რომ მიწის ნაკვეთი ეკონომიკის სამინისტრომ გაასხვისა.

„მიწები, რომელიც თავადვე მოგვცეს, თურმე წაურთმევიათ და არ ვიცოდით... თავიდან გვითხრეს, რომ უნდა გაეფორმებინათ, შემდეგ გვეუბნებოდნენ, რომ იჯარა იყო და დაამუშავეთ, პრობლემა არ იქნებაო. ბოლოს ისე გაასხვისეს, რომ ჩვენ არაფერი გაგვიგია“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

„რადიო თავისუფლება“ საპარტნიორო ფონდს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, იციან თუ არა მათ ადგილობრივთა პრეტენზიების შესახებ და როგორ აპირებენ გლეხების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო ოფიცრის თენგიზ წერეთლის თქმით, მიწების საკუთრებაში მიღებისას საპარტნიორო ფონდმა არ იცოდა, რომ ეს მიწები ასევე ადგილობრივი ფერმერების სარგებლობაში იყო: **„როგორც კი ეს ინფორმაცია მივიღეთ, დაუყოვნებლივ შევქმენით სამუშაო ჯგუფი. ამ სამუშაო ჯგუფის ერთადერთი მიზანია, დაადგინოს ნიშანდობლივ, რა და რომელი ნაკვეთებია ისეთი, სადაც მოხდა გადაფარვა. ასეთი ნაკვეთების გამოვლენის შემთხვევაში, შევთანხმდებით კომპრომისულ ვარიანტზე. ჩვენი ინტერესი არანაირად არ არის, რომ რომელიმე გლეხს დამუშავებული მიწა წავართვათ და ჩვენი პროექტისთვის გამოვიყენოთ“.**

დავის დასრულების შემდეგ საპარტნიორო ფონდი ინვესტორის მეშვეობით საგარეჯოში ზეთისხილის პლანტაციის გაშენებას გეგმავს.

გიორგიწმინდელები საპარტნიორო ფონდში შექმნილი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას ელოდებიან. ადგილობრივები ამბობენ, რომ თუ საკითხი მათ სასარგებლოდ არ გადაწყდა, საპროტესტო აქციებს გააგძელებენ.

გიორგი ალადაშვილი

სოლიკო ხაბეიშვილი:

...აქ, ციხეში, საკუთარ თავს ძალიან დავუმეგობრდი

„ღმერთო ჩემო, თითქმის 70 წელია, ჩვენ იდიოტური დაჟინებით ვასწავლით ხალხს, როგორ ისუნთქონ, მათ ეს უჩვენოდაც მშვენივრად იციან. უბრალოდ, არ უნდა შევუშალოთ ხელი, უნდა მივცეთ თავისუფლება“, — ეს გახლავთ საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის ერთ-ერთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწის სოლიკო ხაბეიშვილის მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ნათქვამი სიტყვები.

ვფიქრობ, წარმოუდგენელია, რომ ამ სენტენციის ავტორი ყოფილიყო ისეთ სტანდარტულ ჩარჩოებში მოქცეული მსოფლმხედველობის და აზროვნების კაცი, როგორიც იყო არაერთი მაღალი დონის ჩინოსანი, რომელსაც პარტბილეთი მხოლოდ კარიერის საფეხურების დასაძლევად და მრავალი ცხოვრებისეული განსაცდელისგან დამცავ ჯავშნად სჭირდებოდა!

თავისი მოღვაწეობის არსსა და მიზანს სოლიკო ხაბეიშვილი ასე განსაზღვრავს: „განსხვავებით ზოგიერთებისგან, მე ჩემი ყოველი „სკამი“ უმძიმეს ტვირთად მიმაჩნდა და ვოცნებობდი მხოლოდ ერთზე - მეზიდა იგი ღირსეულად“.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის (მრეწველობის დარგში) სოლიკო ხაბეიშვილის მოღვაწეობა, რომელიც ემთხვევა ე.წ. „უძრაობის ხანის“ ბოლო წლებს, ასოცირდება არაერთი მეტად მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, წარმატებული პროექტის განხორციელებასთან. აი, როგორ აღწერს ამ პერიოდს სოლიკო ხაბეიშვილის თანაშემწე **გიული ანთელავა: „თითქმის ათი წელია, სოლიკო ხაბეიშვილი ითვლებოდა ენერგიულ ექსპერიმენტატორად, ისეთ ენერგიულად, შემაწუხებლადაც კი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით კეთდებოდა ის, რასაც იმ დროისათვის შეიძლება ეწოდოს სასწაული. ცნობილი ფოთის ექსპერიმენტი, რაც გულისხმობდა ადგილობრივი მმართველობის უფლებების გაზრდას, ტრანსპორტის ექსპერიმენტი — ავტობუსების მძღოლები გახდნენ თავიანთი მანქანებისა და შემოსავლების პატრონები, ACY-რთველი — რთველის ორგანიზაცია ავტომატური მართვის სისტემით, სამრეწველო მაფიის თარეში მნიშვნელოვნად შეამცირა ფართო მოხმარების საქონლის ცენტრმა (ფართო მოხმარების ექსპერიმენტი), გაჩნდა პირველი კერძო რესტორნები და, რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა გუდაურის სპორტული კომპლექსის მშენებლობას და სხვ.“**

სოლიკო ხაბეიშვილი და ვლადიმირ ბურაკოვსკი

ბუნებრივია, მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროექტების წარმატებით განხორციელება უცხოელ ინვესტორებთან და პარტნიორებთან მჭიდრო საქმიანი კავშირების დამყარებას მოითხოვდა, რაც სოციალისტურ სინამდვილეში თითქმის წარმოუდგენელი იყო. მაგრამ სოლიკო ხაბეიშვილისთვის სიძნელეები არ არსებობდა. როცა მიზანს დაისახავდა, არავითარ დაბრკოლებას არ ეპუებოდა და არ ითვალისწინებდა სუკ-ის აზრსაც კი.

მოვიყვან ისევ გიული ანთელავას სიტყვებს: **„ვაკვირდებოდი მას ახლოდან და ვადარებდი რა სხვა ფუნქციონერებს, მე, კაცი, რომელიც ცკ-ს აპარატში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, ვრწმუნდებოდი, ამ შავ გუნდში სოლიკო ხაბეიშვილი თუ იყო ყვავი, უთუოდ თეთრი. თეთრ ყვავს კი, მოგეხსენებათ, ბედი ერთი აქვს — ადრე თუ გვიან, გუნდი მას კორტნას დაუწყებს. ამ თვალსაზრისით, არც სულიკო ხაბეიშვილი გახდა გამონაკლისი...“**

შედეგად, არაკეთილმოსურნეთა მეცადინეობით, შეთითხნილი ბრალდებით სოლიკო ხაბეიშვილი ციხეში აღმოჩნდა. მის „ციხის რვეულში“ ასეთ ჩანაწერებს ვკითხულობთ: **„მინდა, ცოტა ხანი მაინც ვიცხოვრო ისე, რომ ბოლომდე მართალი ვიყო საკუთარ თავთან, რადგან მხრებზე მაწევს უზარმაზარი ტვირთი სხვათა თვალში. ტვირთი, რომელიც ჩემი არ არის. ის, რაც მე დამბრალდა, სხვისი ცოდვაა და არა ჩემი“.** და კიდევ: „არაფერი გვეშველება, სანამ ყველაფერი, რაც ზნეობრიობაა, არ გამოცხადდა სახელმწიფოს საზრუნავად. თუ უზნეობას არ შეებრძოლა საზოგადოება საქმით და არა სიტყვით, როგორ შეიძლება, იქ დაფასდეს მაღალი ზნეობა, სადაც შემფასებელი უზნეობაა“.

სოლიკო ხაბეიშვილის პიროვნების დახასიათებას გვიადვილებს მისივე ჩანაწერი: **„როდესაც ჩემს წარსულზე ვფიქრობ, ჩემს პარტიულ მუშაობაზე, ასე მგონია, არასოდეს ვყოფილვარ პარტიის წევრი ტრადიციული გაგებით.**

რა მამოძრავებდა?

სამშობლოს სიყვარული, საქმის სიყვარული, ალბათ, პატივმოყვარეობაც, სურვილი — დავხმარებოდი ყველას, ვინც ჩემი რწმენით, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ამიტომ მყავდა ბევრი მეგობარი სხვადასხვა სფეროში: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სპორტში და ა.შ. განა ამისათვის საჭიროა, იყო პარტიის წევრი? სრულიადაც არა! პარტიაში ვიყავი იმიტომ, რომ ეს მიადვილებდა იმის კეთებას, რაც მსურდა! მსურდა კი სწორედ ის, რაც ზევით ვთქვი.“

ხუთწლიანი უსამართლო პატიმრობის შემდეგ, პოლიტიკური ვითარება და რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ცვლილებების შედეგად, უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გამოიტანა განჩინება, სადაც წერია: **„გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიის 1987წ. 9 თებერვლის განაჩენი და ყოფილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 21 აგვისტოს განჩინება სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილის მიმართ და საქმე წარმოებით შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო“.**

გათავისუფლების შემდეგ იგი ჩვეული ენერგიითა და შემართებით შეეჭიდა ახალ სიმაღლეებს. იგი ხელმძღვანელობდა „დემოკრატიისა და აღორძინების“ ფონდს. მისი ბოლო მნიშვნელოვანი პროექტი იყო იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო ფორუმის ჩატარება თბილისში. ფორუმის დევიზი იყო „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის წინააღმდეგ“.

ფორუმის გახსნიდან 2 კვირით ადრე 1995 წლის 20 ივნისს სოლიკო ხაბეიშვილი თავისი საცხოვრებელი სახლის წინ 6 გასროლით სიცოცხლეს გამოასალმეს. 6 მარტს მას 85 წელი შეუსრულდებოდა.

ქვევით მოგვყავს ამონარიდები სოლიკო ხაბეიშვილის წიგნიდან „ციხის რვეული“.

* * *

დილით მზე იყო, ახლა გაწვიმდა,
მარტი ჭრელია და ჭირვეული,
აქ ყველაფერი ისე დამძიმდა,
როგორც ეს ჩემი ციხის რვეული.

სულაც არ მიმძიმს მე სიმარტოვე
და არც კარების რაჩხუნი მზარავს,
ოღონდ იმედი ნუ მიმატოვებს
და სიყვარულის შემომრჩეს ძალა.

* * *

მე უცდომელად გატარებულ ცხოვრების რა ვთქვი,
სიცოცხლეს ძვირფასს სალაღობოდ ვერ გავიმეტებ,

სოლიკო ხაბეიშვილი დავითგარეჯში

სული ზეიმობს, როცა ოფლის გადაგდის ხვითქი,
და როცა გიჭირს სხვათა იმედად.

* * *

მე მომკლეს და ნუ ეძებთ ნატყვიარს,
გულს მხოლოდ სიტყვის კვალი ატყვია,
უფრო ღრმა, ვიდრე ბასრი მახვილის,
თოვლზე გადავლა ათას მარხილის...

* * *

მაგრამ საშველი, მოთმენის გარდა,
არა ჩანს, ვდგავარ სასომიხდილი,
მოვკვდე? - სიცოცხლე გამყვება დარდად,
ვიცოცხლო? - მომკლავს დარდი სიკვდილის.

● „როცა სათქმელს ვერ ასწრებ, სიკვდილი კიდევ უფრო ძნელია, მარტო სიცოცხლესთან განშორება არაა... თუ მოასწარი სათქმელი, სიკვდილი ძნელია — აზრიან სიცოცხლესთან განშორებაა... თუ სათქმელი არაფერი გაქვს, მაშინაც ძნელია სიკვდილი, რადგან ერთადერთი აზრი სიცოცხლისა მხოლოდ არსებობაშია... აზრია ყველაფერი.“

● „ის, რაც ადამიანმა განიცადა მილიონობით წლის განმავლობაში, იმასვე განიცდის ერთი სიცოცხლის მანძილზე, დაბადებიდან სიკვდილამდე. ყველაზე სუსტი და ყველაზე ძლიერი იღუპება, რადგან ამ ჭაობში შუაში გადის.“

● „სიბერე როგორ უნდა მოგენატროს კაცს? სიბერე სად წავა, შენ თუ არ გასწარი! თუ გაასწრებ და კიდევ უკეთესი, გადარჩები სიბერეს. მე კი მენატრება! ნეტავ სიბერეშიც შეშურდებათ ჩემი?!“

● „რა მშვენიერია ის, რაც მოპოვებულია საქმეს შეწირული კაცის მიერ...“

● „ყველა, ვინც დროს გაასწრო — უბედურია.“

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

...ვარ შენი მსმელი, გინდ თეთრი იყო, გინდა - წითელი

ლევან მეხუზლა:

ქართული ღვინის ექსპორტი მზარდია აშშ-ში

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ნიუ-იორკში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinexpo New York“ მონაწილეობდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მსოფლიოს ყველაზე დიდ ღვინის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის წარდგენის შესაძლებლობა საქართველოდან 12 კომპანიას მიეცა, რაც ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „მარქ ენერჯის“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების, ღვინის ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გამართა.

გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ლევან მეხუზლა** დაესწრო, რომელმაც შეხვედრები ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გამართა.

„ნიუ-იორკის „ვინექსპოში“ მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ ახალ ტენდენციებსა და გამოწვევებს მსოფლიოს ღვინის ბაზარზე, მოიძიონ ახალი სავაჭრო პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელიც წარმოადგენს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს, სადაც განსაკუთრებით მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები. ქართული ღვინო არის მაღალი ხარისხის და კერძო სექტორთან ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ხარისხის სტაბილურობა არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ ქართული ღვინის სხვა ბაზრებზეც“, — აღნიშნა **ლევან მეხუზლამ.**

მისი ინფორმაციით, ქართული ღვინის ექსპორტი აშშ-ის ბაზარზე ბოლო 5 წელია, სტაბილურად მზარდია: 2019 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო 700 ათასამდე ბოთლი ღვინო, რაც თითქმის 50%-ით აღემატებოდა 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ერთი ბოთლის საშუალო საექსპორტო ფასი 5,1 აშშ დოლარია.

გამოფენას საქართველოს გენერალური კონსული ნიუ-იორკში **დიანა ჟღენტი** დაესწრო. ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დიპლომატიური უწყების ორგანიზებითა და ხელშეწყობით, ბოლო წლებში ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა.

ვერ ეწინააღმდეგა

როდის იწყება საქართველოს ისტორია?!

„გადავარჩინოთ საქართველო“, „საქართველოს მოსახლეობის შეკვეთა პროპორციული არჩევნებია“ – ამ მოწოდებებს სისტემატურად აქვს ადგილი „TV-პირველის“ ეთერში მიწვეული ოპოზიციის მხრიდან. არის სხვა მოწოდებებიც, ყურს რომ ჭრის და ნეგატიურ განწყობაზე აყენებს მსმენელს, მაგრამ მათ შორის ზემომოყვანილი, თავისი სიხშირით ყველა დანარჩენს აჭარბებს, თან ღამის თოქ-შოუების წყალობით ძილშიც მიჰყვება ადამიანს და ძალაუნებურად ახსენებს „მტარვალი“ ივანიშვილის ოინებს, ხალხს რომ „სიცოცხლე მოუსპო, ხოლო ქვეყანა ჯიბეში ჩაისვა“.

კორონავირუსმა, ნაწილობრივ, კონკურენცია გაუწია პოლიტიკურ თოქ-შოუებს და ყურადღება დაავადებაზე გადაიტანა, რომლის შესახებ არც აქაურმა მედიცინის მუშაკებმა იციან და არც მსოფლიო მედიცინამ. გამოუცნობი დაავადებით შეპყრობილთა რიცხვი ელვის სისწრაფით იზრდება და ახალ-ახალ ქვეყნებს იპყრობს ისე, როგორც ოპოზიციური „პოლიტიკოსების“ მომაბეზრებული მოწოდებები – ძალაუნებურად შემოჭრილი ჩვენს ტვინებში. ორივე მძიმედ მოქმედებს ადამიანზე, მაგრამ თუ პირველისგან ასე თუ ისე განკურნება შეიძლება, მეორისგან შეუძლებელია, ვინაიდან ქართული წარმოშობის ოპოზიციური „ბაცილა“ ისე აავადებს საზოგადოების ნაწილს, ორკვირიანი მკურნალობა არაფრის მომცემია.

ქართული პოლიტიკური „ბაცილა“ იმითაც არის გამორჩეული კორონავირუსისგან, რომ ტვინს ულრღნის ადამიანს და ალცჰეიმერის დაავადების მსგავსად უჯრედების კვდომას იწვევს, რაც შორეული თუ ახლო წარსულის დავიწყების საწინდარია. სწორედ ამ დაავადებას უნდა მივაწეროთ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლის დროს მოწყობილი ხალხმრავალი დახვედრა. მედიის წარმომადგენლების გულისყური მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ სხვების?

დანაშაული, ყოფილი შს მინისტრის და პრემიერ-მინისტრის მიერ მრავლობით რიცხვში ჩადენილი არათუ ტრიუმფალურ დახვედრას, არამედ ციხიდან ფარულად, უკანა გასასვლელიდან გაპარვას იმსახურებდა, ხოლო ფართო საზოგადოებისთვის მხოლოდ მოკლე, სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდებას, ყოველგვარი ვიდეოსიუჟეტის და ციხიდან გამოსული „გმირის“ „მგზნებარე“ სიტყვის გარეშე.

დამისახელეთ თუნდაც ერთი დემოკრატიული ან არადემოკრატიული ქვეყანა, სადაც ციხიდან გამოსულ დამნაშავეს ისეთ ტრიუმფალურ დახვედრას უწყობენ, როგორც აქ? მავანი შემედავება – მერაბიშვილი დამნაშავე აღარ არის, მან ჩადენილი დანაშაულისთვის ციხე მოიხადაო. პასუხი – მერაბიშვილს მიერ ჩადენილი დანაშაული უვადოა და თუ მას, თავისუფლების აღკვეთის თვალსაზრისით, მართლმსაჯულება ზელიბერალურად მოექცა – საზოგადოებას, შეწუხებულს სახელმწიფო მოხელის უგვანო, სადისტური საქციელიდან გამომდინარე, საწინააღმდეგო აღქმა უნდა ჰქონოდა.

მაგრამ არა! „გადემოკრატებულმა“, უფრო სწორად „გამოთაყვანებულმა“, ამნეზიით შეპყრობილმა საზოგადოების ნაწილმა, ოპოზიციური პარტიების ჩიჩინით, სხვა გზა აირჩია – მას წარსულის დავიწყება ჰქვია. არის ამ „გულმავიწყობაში“ ისეთი, რაც ღრმა ანალიზის შემდეგ გვეუბნება – „გადაცდომისგან“ არვინ არის დაზღვეული, მათ შორის პოლიტიკოსებიც. ერთ მშვენიერ დღეს მათაც არ აწყენდათ მერაბიშვილის მსგავსი დახვედრა – ციხიდან გამოსვლისას.

ვირუმბაკული წინდახედულობა, განსაკუთრებით ციხეში გასტუმრებულისთვის ქონების კონფისკაციაზე თვალის დახუჭვისას იგრძნობა. ციხეში ზარ-ზეიმით გასტუმრებული ქალაქის ყოფილი მერი უგულავა, რომელმაც 48 მილიონი ლარით დაგაზარალა ქვეყანა, ციხის ზეკომფორტული ოთახიდან და არა კამერიდან, თითს უქნევს ხელისუფლებას, ინტერვიუებს იძლევა სატელევიზიო პირდაპირი ჩართვით და მერაბიშვილივით მთავრობის დამხობას იმუქრება.

უგულავას ბედს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რომ შენატრის, ეჭვი არვის ეპარება. სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მოპარული 48 მილიონის შენარჩუნებით, დიდი საქმეა. არათუ 48 მილიონზე, ერთ ან ნახევარ მილიონზეც მზად არიან ციხეში ჩასხდნენ.

ციხიდან გამოსულმა მერაბიშვილმა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვამდე, დასვენება დააანონსა, ცხადია, უცხოეთში. არვინ კითხულობს – რა ფულით?! ისე როგორც არვინ იკითხა უგულავას ძვირად ღირებული ვოიაჟის თაობაზე აშშ-ში, ლასვეგასში. როგორც ჩანს, საზოგადოებამ „გაგებით“ აღიქვა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „გადაღლილი“ თბილისის მერის ამერიკაში დასვენება.

ეს იმდენად „შორეული“ ამბავია, საზოგადოებას რომ დავიწყებოდა, გასაკვირი არაფერია. საზოგადოება გულისყურით ისმენს ნაცი ლიდერების მუდმივ განცხადებებს 2008 წლის ომის დაწყებაში უდანაშაულობის თაობაზე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კრავი სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, ბოკერია და სხვები პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი, სამშობლოს მოყვარული ადამიანები არიან, რომელთა გარეშე ქვეყნის არსებობა წარმოუდგენელია. ე.წ. პოლიტიკურმა პარტიებმა გაითვალისწინეს ნაცთა შეგონება, შეუნდეს მათ და ერთად გადაწყვიტეს ქვეყნის გამოხსნა მტარვალი ივანიშვილის კლანჭებიდან.

საზოგადოებამ დაივიწყა გაერთიანებული ოპოზიციის საქმენი საგმირონი – ე.წ. დამოუკიდებლობის წლებში უხვად გამოვლენილი, დღეს რომ ცუდად აისახება ქვეყანაზე. „პატრიოტი“ პარტიები ხმამაღლა გაჰყვირიან, მერაბიშვილთან არ დავსხდებითო, თითქოს ვისთანაც სხედან – ბოკერიას და სხვათა სახით (ციხემდე უგულავას), დიდად განსხვავდებიან მერაბიშვილისგან.

სულ ახლახან „TV-პირველზე“ ბურჯანაძე-ბოკერიას ჭუკ-ჭუკის დროს, ბურჯანაძემ ჟურნალისტის კითხვაზე ვერაფრით გაიხსენა ბოკერიას მიერ ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის სულხან მოლაშვილის წამება. ვერც ის გაიხსენა, თუ როგორ სძულს გონიერ საზოგადოებას ბოკერია.

იმ უამრავ პარტიას შორის, ვინც ივანიშვილისგან ქვეყნის დახსნას ითხოვს, იდეოლოგიური განსხვავება უცხო რამაა. ყველა მათგანი ერთი „ბაცილით“ არის დაავადებული. მას ხელისუფლებაში მოსვლა ჰქვია – ნებისმიერი გზით, ხერხით, თუნდაც ძველის დავიწყებით, გინებით. ბურჯანაძის გარდა, თითქმის ყველა ე.წ. ოპოზიციონერი ივანიშვილის შერჩევით მოხვდნენ 8 წლის წინათ აქტიურ პოლიტიკაში და რომ არა ივანიშვილის სურვილი, დიდი ხანია, პოლიტიკურ სასაფლაოზე განისვენებდნენ.

გულმავიწყობა და უმადურობა კორონავირუსზე მძიმე დაავადებაა

უსმენ 22 პარტიის წარმომადგენლებს და მათი თავხედობა გაოცებთ – ხალხის დაკვეთაა პროპორციული არჩევნებიო, ამბობენ ისინი. ხალხის დაკვეთა ლუკმაპურია, პოლიტიკურმა ელიტამ რომ წაჰგლიჯა მას და სამშობლოდან შორს გადახვეწა საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად. რა თავში იხლის მშიერი ხალხი პროპორციულ ან მაჟორიტარულ სისტემას. მან კარგად იცის წლევანდელი არჩევნების შემდეგ, მომავალ არჩევნებამდე მას აღარავინ გაიხსენებს.

გრიგოლ ვაშაძემ, ნაცთა ერთ-ერთმა ლიდერმა სატელევიზიო ინტერვიუში შეკითხვაზე – რის გაკეთებას აპირებს ოპოზიცია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, უპასუხა – ისეთი კურსის გატარებას, რასაც სააკაშვილი და მისი ნაცები აკეთებდნენ 2004, 2006 წლებშიო.

ვაშაძეს, როგორც ჩანს დაავიწყდა, რომ იმ „წარმატებულ“ წლებში სწორედ ივანიშვილი აფინანსებდა ჯარს, პოლიციას, სახელმწიფო მოხელეებს, სხვადასხვა დარგს, რამაც გამოიწვია ის, რაზეც ვაშაძემ გაამახვილა ყურადღება და გარდა ამისა ბიზნესის დაყაჩაღებამ, ქონების ჩამორთმევამ, ყოველივე საშინელებამ, რისი გახსენება საზარელ ჟრუანტელს იწვევს ადამიანში.

განსაკუთრებით „საინტერესო“ იყო „მომავალი“ ხელისუფალის განმარტება ჟურნალისტის კითხვაზე დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებასთან დაკავშირებით. არაფერი ახალი. ისევ ძველი, გაცვეთილი, უტოპიური მოსაზრება – საქართველო ეკონომიკურ-სოციალური პარამეტრებით ისეთი მიმზიდველი ქვეყანა უნდა გახდეს, რომ აფხაზი და ოსი თავქუდმოგლეჯილი ჩვენკენ გამოიქცეს.

რას ნიშნავს ვაშაძის პასუხი, თუ არა დემაგოგიას?! ჯერ ერთი, დამოუკიდებლობას, ყოფილი ავტონომიები ფულზე ან უკეთეს ცხოვრებაზე არ გაცვლიან. და მეორე – ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთის ფრთებქვეშ შეყუჟულებს, კარგად მოეხსენებათ, რომ საქართველო რუსეთის დონეს კარგა ხანს ვერ მიაღწევს, მათთვის მომხიბვლელი რომ გახდეს.

პერსონალურ გულმავიწყობას, რომელსაც საზოგადოების გულმავიწყობაც ემატება, ნათლად დავინახეთ გასაბჭოების დღის, გლოვის დღედ გამოცხადებისას, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებებზე აღმართული სახელმწიფო დროშები დაუშვეს და ყველა ტელეკომპანიამ, ბეჭდვითმა მედიამ შესაბამისი გამოსვლები და სტატიები გამოაქვეყნა.

საბჭოთა საქართველოს 70-წლიანი არსებობა სრულ ვაკუუმად, უკეთეს შემთხვევაში, სახალხო ტანჯვა-წამების პერიოდად შეფასდა. ქვეყნის ისტორიაში 70-წლიანი პერიოდის გამოკლება ცოტა რამ არ არის. არც მეფის რუსეთის ქვეშ ყოფნის ისტორიას წყალობს საქართველოს საზოგადოება. რასაც წყალობს, 1918-21 წლების ეროვნული ხელისუფლების წლებია, რამაც დიდი ვერაფერი ბედნიერება არგუნა ხალხს.

ბოლშევიკების შემოტევისგან შეშინებულმა საქართველოს ხელისუფლებამ, ეკლესიებიდან მოკრეფილ განძს 400-ზე მეტ ტომარაში მიუჩინა ადგილი და საფრანგეთში გადაიხვეწა. ხალხის კუთვნილი განძით გამოიკვება მან თავი, ვიდრე საფრანგეთის ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირთან არ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ, საფრანგეთში გადახვეწილ მენშევიკურ ხელისუფლებას ლეგიტიმაცია შეუწყდა, ხოლო საფრანგეთის ბანკში ჩაბარებული ქართული განძი საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს კუთვნილებად გამოცხადდა. მხოლოდ სტალინის თხოვნით დათმო საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა საფრანგეთის კუთვნილებად აღიარებული ქართული განძი და სტალინის მიერ პარიზში გაგზავნილ დელეგაციას, პროფესორ ამირანაშვილის ხელმძღვანელობით, სამშობლოში წამოღების ნება დართო.

ამ განძის ისტორია, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწერა ბატონმა გრიგოლ ონიანმა, რაც, სამწუხაროდ, ბევრს არც წაუკითხავს. არადა, ამ მასალების წაკითხვა აუცილებელია ყველა იმისთვის, ვისაც სურს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გაცნობა.

დღევანდელნი, საბჭოთა პერიოდის მლანძღველნი, მხედველობიდან უშვებენ ისეთ „მარტივ რამეს“, რასაც აჭარის შემოერთება ჰქვია. რომ არა საბჭოური პერიოდი და მაშინ გაფორმებული ყარსის ხელშეკრულება, აჭარა ისევ თურქეთისა იქნებოდა. რომ არა ბოლშევიკური რევოლუცია, საქართველო დარჩებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ცალკეული გუბერნიების და არა ერთიანი საქართველოს სახით.

რომ არა საბჭოთა საქართველო, ქვეყნის მოსახლეობა ნახევარი მილიონიდან 5 მილიონამდე არ გაიზრდებოდა. რომ არა საბჭოთა საქართველო, არ იქნებოდა საყოველთაო, უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა მრავალი სიკეთე.

ბოლოს და ბოლოს, არ იქნებოდა უფასოდ ნაბოძები სახლები, რომლებშიც ვცხოვრობთ; არ გვექნებოდა გზები, რომლებზეც დავდივართ; არ გვეყოლებოდნენ განსწავლული ადამიანები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი; არ გვექნებოდა თეატრები; არ გვექნებოდა ყოველივე ის, რაზეც დღეს დგას ქვეყანა და მიუხედავად „დამოუკიდებლად“ ცხოვრების 30-წლიანი ნგრევისა, მაინც ვინარჩუნებთ სახეს. კიდევ ბევრი საბჭოური სიკეთის გახსენება შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა.

გულმავიწყობამ, ისტორიის არცოდნამ, ხშირად ბრმა მიმბაძველობამ მიგვიყვანა ალოგიკურობამდე, ანუ თუ რუსეთის იმპერიაში და საბჭოთა კავშირში ყოფნის წლებს უხსენებელ საშინელებად და სიცარიელედ ვთვლით, მაშინ უნდა დავეთანხმოთ სააკაშვილის ბოდვას, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ იწყება.

ასე იცის „გულმავიწყობამ“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

კოკო შანელი მეუბნებოდა: „ადამიანი-ლეგენდა განწირულია იმისთვის, რომ მითში განზავდეს და ამით განამტკიცოს მითი. თვითონაც ასე მოიქცა. თავისთვის გამოიგონა სუყოველივე – ოჯახი, ბიოგრაფია, დაბადების წელი და სახელიც კი“.

სალვადორ დალი

„ქალი სუყოველ მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ქალებზე

უკანასკნელ ხანს ყმაწვილქალნი ან ტაკიმასხარეგივით იცვამენ, ან პატარა გოგოცუნებივით. ეს არასწორი და მცდარია. კაცებს სულაც არ უყვართ პატარა გოგოები.

* * *

და ქალი კაცის ცხოვრებაში მაინც მხოლოდ ერთია, სუყოველი მომდევნო იმ პირველის მხოლოდ ჩრდილია.

* * *

ქალი სუნამოდაპკურებული, ანუ დაინანთებული და სუფთა უნდა იყვეს, თუ არადა, ბელეშაა. მე ძალიან მიყვარს სუყოველი სუნამო. მიყვარან კარგად თავმოვლილი და ზომიერად დასუნამოებული ქალები, ხოლო ნამდვილად მეზიზღებიან ბელეშა, წუპაკი ქალები.

* * *

ფიზიკურად ძალიან კარგი აღნაგობის განოვანს შეუძლია შარვლის ჩაცმა ქალაქგარეთ და არავითარ შემთხვევაში საღამოს შარვლით არ უნდა გამოვიდეს ქალაქში.

* * *

გევრისგან გაიგონებთ, ქალები ისევ ქალების გულისთვის იპრანჭებიანო, რადგან მეტ ჟინს არიან აყოლილნიო. უდავოა, ასეც არის. ოღონდ არ იგულმავიწყოთ, რომ ამქვეყნად საკაცეთიც რომ გაწყდეს, ქალები აღარ გამოიპრანჭებოდნენ.

* * *

ნუ დაივიწყებთ – ქალები თეძოებს მოგაწონებენ, მუხლებს – კი არცროდის!

* * *

ვერც ერთი ქალი ბედნიერი ვერ იქნება, თუ რომელსამე კაცს არ უყვარს, ქალს კი მეტი არცრა უნდა. ქალი, რომელიც არცვის არ უყვარს, ნულია და მეტი არაფერი. დამიჯერეთ, არცრა მნიშვნელობა არა აქვს, ახალგაზრდაა ის თუ ხანდაზმული, დედაა თუ საყვარელი... იმ ქალი საქმე, რომელიც არცვის არ უყვარს, დაღუპულია, მშვიდად შეუძლია სიკვდილი, ეს კი უკვე სულერთია სუყველასთვის.

* * *

20 წლის ყმაწვილქალს ბუნება აძლევს სახეს. 30 წლისას ცხოვრება უძერწავს, 50 წლისა კი ვალდებულია, თავად დაიმსახუროს თავისი სახე... არცრა ისე სწრაფად არ აბერებს ქალს, როგორც კი მუდმივად გაახალგაზრდავებისკენ სწრაფვა, მაგრამ ბევრი 50 წლის ქალი ვიცი, ბევრად თვალწარმტაცად რომ გამოიყურებიან, ვიდრე ცუდად თავმოვლილ ყმაწვილქალთა სამი მეოთხედი.

* * *

თუ ქალმა გიპასუხა „არაო“, მაშასადამე, გითხრა, – „ვნახოთო“, ხოლო უკეთუ ქალმა გიპასუხა „ვნახოთო“, მაშასადამე, გითხრა „დიახო“. ოღონდ თუ ერთბაშად მოგახალა „დიახო“, მაშასადამე, ის ვერცროდის ნამდვილი ქალი ვერ იქნება.

* * *

მადმუაზელი მუდამ ენაკვიმატი იყო:

– რამდენ წელს მისცემდით ქალბატონ ბ-ს...? – ჰკითხა მან შაზოს.

– ვფიქრობ, მეხუთე ათეულშია!

– ვითომ? – მე ეგრე არა ვფიქრობ... თუმცა... კი მეხუთე ათეულშია... ქრისტეს შობამდე.

ასეთ დროს კოკო შანელს განუმეორებლად უბრწყინავდა თვალები პატარა დანაშაულჩადენილი ბიჭუნასავით კმაყოფილს.

კაცებზე

ის კაცები ჩაცმულობისდა მიხედვით რომ ცდილობენ გამორჩევას, კრეტინები არიან.

* * *

კაცი ასაკთან ერთად სულ უფრო უკეთესად და უკეთესად გამოიყურება, მაშინ, როცა იმისი მეგობარი ქალი სულ უფრო ჭკნება.

* * *

არის ორი რამ, რასაც კაცის გონება ვერ სწვდება: შესაქმის საიდუმლოება და ცოლის შლაპა.

* * *

არ ღირს იმის დავიწყება, რომ კაცები არცთუ ისე ძლიერნი არიან, როგორიც ჩვენ ისინი გვგონია. ეს მაშინ, როცა ქალები უფრო ეშმაკნი და მარჯვენი არიან, ქალებს ყოველივეს ატანა შეუძლიათ. ბოროტების უნარიც შესწევთ, ოღონდ ხან სასიამოვნო, საყვარლად ბოროტნი არიან. კაცები ბევრად უფრო გულუბრყვილონი და მალალნი არიან.

* * *

კაცთ ყოველთვის ვეუბნებოდი: ნუთუ თავი რომ გაგიმელოტდათ, მაინც გჯერათ, რომ ლამაზები ხართ? ქალები ბევრად უფრო მარჯვედ ებრძვიან ხანდაზმულობას, ვიდრე კაცები, ქალები უკეთესად ინახავენ თავს. კაცს არ უხდება თმის შეღებვა.

* * *

მართალი გითხრათ, ძალიან დავიღალე, ნუ იტყვით, ისე დამქანცეთ კაცებო! უსასრულოდ დაგვქანცეთ, დაგვაოსეთ, მაგრამ, თქმა არ უნდა, აუცილებელნი ვართ თქვენთვის.

* * *

ყოველგვარი ძიძანი და სხვა ათასი სისულელე გასევდიანებთ და გადებილებთ, კაცებო!

* * *

სისხლით უფლისწულნი მუდამ უტყუარ სიბრალულს იწვევდნენ ჩემში... უფლისწულთა ხელობა ყოვლის უფრო სევდიანია დედამიწის ზურგზე და კიდევ, ბევრად უფრო უარესია, როცა ვერც ამ ხელობას უმკლავდებიან.

* * *

თუკი იცით, რომ კაცები ბავშვებივით არიან, სუყოველი დანარჩენის ცოდნა სავალდებულო აღარ არის.

* * *

სუყოველი ქალის ყველაზე უფრო მოდური აქსესუარი სხვა არა არის რა, თუ არა ლამაზი კაცი.

* * *

თუ ღმერთი კაცია, მაშასადამე, კაციც ღმერთი ყოფილა.

* * *

როცა კაცს ნამდვილად უნდა ქალისთვის რამე საჩუქრის მირთმევა, მაშასადამე, იმის ცოლად მოყვანას ეპირება.

* * *

სექსი მთავარი რამ არის სუყოველი კაცის ცხოვრებაში, ქალი კი მხოლოდ საშუალებაა.

* * *

ქალები თვითონ მიდიან თავიანთი უბედურებისკენ. მუშაობა, ბევრი მუშაობა, სულ მუდამ აქეთ-იქით სირბილი, არავითარი ბავშვის გაჩენა, რათა წარემატოს ცხოვრებაში, ფულისთვის ღობე-ყორის მოდება, თანაც დარწმუნებულნი არიან, რომ კაცებზე ბევრად უკეთესად გამოუდით ყველაფერი... მალე ყველაფრის გაკეთებას იმათ მოსთხოვენ, რადგან ისინი კაცებზე ბევრად ამტანები არიან. ქალს ყველაფრის გაძლება ძალუძს. აბა, ერთი წარმოიდგინეთ მშობიარე კაცი. ის ვეღარასოდეს გონს ვერ მოვა ამ სტრესის მერე. სურდო რა არის, სურდო, უბრალო ცრინტილა, კაცი იმასაც კი ვერ უძლებს.

* * *

კაცის საქმე დაღუპულია, თუ გენიოსი არ არის.

* * *

დღეს დედა ფუტკარი ეს კაცია.

* * *

კაცებს ის ქალები მოსწონთ, კარგად რომ არიან შემოსილნი, ოღონდ მეტისმეტად არა თვალში საცემად.

* * *

სილამაზე აუცილებელი რამ არის ჩვენთვის, ქალებისთვის, რათა კაცებს ვუყვარდეთ, სიტუტუცე კი იმად გვინდა, რათა ჩვენ გვიყვარდნენ კაცები.

* * *

კაცები ლამაზები საერთოდ არ უნდა იყვნენ, ულამაზო კაცები კი არც არიან. არის მხოლოდ ნაკლები ხიბლი და თბილი შამპანური.

* * *

კაცი, რომელიც სულ ქალებში ტრიალებს, განწირულია იმისთვის, რომ ვისმე უყვარდეს!

თავის თავზე

ქალი მრისხანე და დაუნდობელი მსაჯულია, გიცქერის, თავს დახრის. იღიმება და სიკვდილს გისჯის.

ჟან კოკტო კოკოს შესახებ

მე უკანასკნელი ჩაუმქრალი ვულკანი ვარ, ოვერნი. ჩემი ბავშვობა სულ ზეპირად მახსოვს, ჩემი ჩამოურეცხავი ბეჭედი აზის.

* * *

მაშინ მეცოდინება, რომ ნამდვილად მიყვარხარ, როცა აღარ დამეჭირვები (კეიპელზე ნათქვამი).

* * *

რაღაცას მივაღწიე, ჩემი ადგილი მივიჩინე მწვერვალზე. ახლა უკვე მიცნობს ხალხი.

* * *

სულ სიახალგაზრდავეზე ლაპარაკი ძალიან ცუდი რამ არის, დაცემაა. როგორც კი სიტყვას სიახალგაზრდავეზე ჩამოაგდებ, ეგრევე გაგეცლება ის. სიახალგაზრდავე დამოკიდებულია ჯანმრთელობაზე, დღეზე, წუთებზე. როცა მოწყენილი არა ვარ, როცა ვინმეს გვერდით ვარ, ვისაც ჩემი ესმის, რაღად მინდა, რომ კიდევ ვისმე ვეჩვენო, ნახე, რა ახალგაზრდა ვარ-მეთქი? მიმიფურთხებია ამისთვის! კი, სულაც ახალგაზრდა აღარა ვარ, მაგრამ რატომ უნდა მიშლიდეს ეს ხელს, თუ თავს ბედნიერად ვგრძნობ ვისიმე გვერდით, ვისთანაც გვერდით ყოფნა არა მწყინდება?

* * *

ძალიანაც კარგად ვიცი, რომ ოცი წლისა აღარა ვარ. ორმოცისაც კმაყოფილი ვიყავი.

* * *

ჩემი გონება არ ეთანხმება იმ დროებას, რომელშიც ვცხოვრობ.

* * *

დედაჩემი სიყვარულით გაჰყვა მამაჩემს და მთელი თავისი ცხოვრება სულ იმდუღრებოდა.

* * *

მესმის, ძალიან კარგად მესმის, რომ ყოვლივემ მოჭამა დრო, მიმხცოვნდა.

* * *

ჩია ხარო, მაგონებენ, არადა, 168 სანტიმეტრი ვარ.

* * *

კი, სიფრთხილე ვისწავლე. იძულებული ვარ, რომ თავადვე დავიცვა ჩემი თავი, სულ მარტოდმარტომ. ცხოვრება ამუამად ხომ აგრერიგად სასტიკია!

* * *

მიყვარს, როცა ვანათლებ ადამიანებს, როცა რასმე ვუხსნი, თანაც მოთმინებას არ ვკარგავ, თუ ერთბაშად ვერ მიგებენ.

* * *

ამაყნი მარადიული ტანჯვისთვის იწირავენ თავს.

* * *

მთელი პრესა ჩემს წინააღმდეგაა.

* * *

– რა უყავი ის კაბა, რომ გაჩუქე?

– ფანჯარაზე ჩამოვკიდე. კაბა კი არა, ნამდვილი ფარდაა.

– სამწუხაროა, არადა, ნამდვილ ქალს ჰგავდი.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-40

ნიკო ფიროსმანის ნახატი „სააღდგომო ბატკანი“ კერძო მფლობელს დაუბრუნდა.

27 თებერვალს მოსამართლე ჩოგოვაძემ გადაწყვეტილება გამოაცხადა და ეროვნულ მუზეუმს ნახატი კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ ჩამოართვა. ჩვენი ინფორმაციით, ნახატი 600 ათას ლარად არის შეფასებული. საქმეში, როგორც ნახატის მფლობელი ალანიების ოჯახი მედიასთან აცხადებს, ყოფილი კულტურის მინისტრის ნიკა რურუას სახელიც ფიგურირებს.

ყველაფერი 2011 წელს დაიწყო. ყოფილ პოლიციელს, პოლკოვნიკ დამიანე ალანიას ნიკო ფიროსმანის ნახატის „სააღდგომო ბატკნის“ მოპარვაში დასდეს ბრალი. ამ დროს კულტურის მინისტრი ნიკა რურუა იყო. რამდენიმე დღის წინათ კი, სასამართლომ უკანონო მფლობელობიდან „გამოითხოვა“ ფიროსმანის „სააღდგომო ბატკანი“, რომელიც დღეს ეროვნულ მუზეუმშია მოთავსებული და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაუბრუნდეს მესაკუთრეს ნუგზარ ალანიას. ნუგზარ ალანია დამიანე ალანიას მემკვიდრეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ დამიანე ალანიას ჩამოართვეს ეს ნახატი სისხლის სამართლის საქმის აღძვრით 2011 წელს.

ეროვნულ მუზეუმსა და კულტურის სამინისტროს გასაჩივრებისთვის 45-დღიანი ვადა აქვთ. ვნახოთ, წავა თუ არა ეს საქმე აპელაციაში. ამ ეტაპზე კი ჩვენი ინფორმაციით, ალანიას საქმის გამოძიების ბოლომდე მიყვანა დამსახურებაა პროკურატურის იმ დეპარტამენტის, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სპეციალურად შექმნა.



„ნაციონალების“ დროს ჩამორთმეულ ფიროსმანის „სააღდგომო ბატკანს“ სახელმწიფო ალანიების ოჯახს უბრუნებს - 9 წლის შემდეგ სამართლიანობა აღდგა

ერთი სურათის თავგადასავალი

როგორ აღმოჩნდა „სააღდგომო ბატკანი“ ალანიას ხელში?

ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად ნუგზარ ალანია საზღვარგარეთ იმყოფება, ამიტომ „2020NEWS“-მა მასთან დაკავშირება ვერ შეძლო. ამიტომ, გთავაზობთ მის ინტერვიუს, რომელიც „კვირის პალიტრაშია“ გამოქვეყნებული. აი, რა ისტორიას ყვება გამოცემასთან დამიანე ალანიას შვილი ნუგზარ ალანია, რომელიც ამჟამად, მამის ანდერძის მიხედვით, ფიროსმანის „სააღდგომო ბატკნის“ მფლობელია.

ნუგზარ ალანია: „2001 წლის 17 მარტს მამაჩემმა ქაშუეთთან მდებარე ანტიკვარულ სალონ „ორიენტში“ 35.000 დოლარად ნიკო ფიროსმანაშვილის „მელა“ და „სააღდგომო ბატკანი“ შეიძინა (23 ათასი დოლარი იქვე გადაიხადა, დარჩენილი თანხა კი მეორე დღეს მიიტანა). ორივეს შეძენა დადასტურებულია დოკუმენტით. შესყიდვამდე სურათს ექსპერტიზაც ჩაუტარდა, აჩვენა მხატვარ-რესტავრატორს, ცხონებულ თენგიზ მირზაშვილს. 2009 წლის 9 სექტემბერს მამამ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს მიმართა განცხადებით, რომ „სააღდგომო ბატკნის“ ნამდვილობა დაედასტურებინათ და დასკვნა გაეცათ. თავად მივიტანე სურათი კულტურის სამინისტროში. დავურთე ყველანაირი დოკუმენტი: ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო განყოფილების გამგის წერილი; ხელოვანთა დასკვნა; **ნიკო ფიროსმანაშვილის უცნობი სურათების გამოფენის ბუკლეტი; სურათის საფასურის გადახდის ქვითარი და ფოტოები. მამამ „მელა“ 2003 წელს გაასხვისა, „სააღდგომო ბატკანი“ კი შინ გვქონდა... სამინისტროში განხილვას არ დამასწრეს, ოთახიდან კამათის ხმა გამოდიოდა.**

ბოლოს ერთმა პასუხისმგებელმა პირმა მითხრა, კომისიამ იმსჯელა, ეს არ არის ფიროსმანის ტილო. მამას ეს რომ ვუთხარი, მითხრა, არაფერს არ მეუბნება მათი დასკვნაო. ნამდვილობაში დარწმუნებული იყო. სახელმწიფო ექსპერტიზას იმიტომ ატარებდა, უნდოდა, ნივთი გაეყიდა, ოღონდ იმ პირობით, რომ საქართველოში დარჩენილიყო. გასხვისებული „მელა“ საზღვარგარეთ გაიტანეს. ამიტომ აპირებდა, ხელშეკრულებით გაეყიდა „სააღდგომო ბატკანი“. მართალია, კულტურის სამინისტროში არ დაუდასტურეს ნამდვილობა, მაგრამ მიხვდნენ, მამა შეეცდებოდა, კერძო ექსპერტებისგან მიეღო დასკვნა. მის ტელეფონსაც უსმენდნენ.

როგორ წაართვეს ალანიას „სააღდგომო ბატკანი“

ამის შემდეგ კი, უკვე 2011 წელს ალანიების ოჯახითა და იმათ საკუთრებაში არსებული ფიროსმანის „სააღდგომო ბატკნით“ სახელმწიფო უწყება დაგულისყურდა. მამა-შვილ ალანიებს „ტერორისტებივით 20 პოლიციელი“ აკავებს.

ნუგზარ ალანია: „მამასთან 2011 წელს მოვიდა ექსპერტი, სურათის ყიდვის მსურველი გამოჩნდაო. პოტენციური ექსპერტისა და მყიდველის ჩამოსვლა 4-5 ჯერ გადაიდო. 2011 წლის 21 დეკემბერს უზნაძის ქუჩაზე ერთ-ერთი „კოლექციონერის“ ოჯახში მივედით. იქ ერთი ახალგაზრდა ქალი ექსპერტად გაგვეცნო. მესამე პირიც იყო, თითქოს მყიდველი. მერე მივხვდი, ეს გათამაშებული სცენა იყო. იმ ექსპერტმა ქალმა დაადასტურა, ფიროსმანის სურათიაო. ამის მერე ნახატი წამოვიღეთ, ჩავსხედით მამას მანქანაში, საჭესთან მამას მძღოლი იჯდა,

300 მეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ ტერორისტებივით დაგვაკავეს. 20 პოლიციელი იყო, ტელეოპერატორიც ახლდათ. ტელეფონები ჩამოგვართვეს, ნახატიც ამოიღეს საბარგულიდან. დოკუმენტაციაც იქ იყო. საღამოს 8-ის ნახევარზე გამოგვიშვეს, სურათი დალუქეს და დაიტოვეს. ამის მერე მამაჩემის სახლში ჩხრეკა ჩატარდა. პარალელურად, ჩემი სახლიც იჩხრიკებოდა კეკელიძის ქუჩაზე. მამაჩემის სახლიდან წიგნები და ზდანევიჩის 7 ნახატი წაიღეს. ჰკითხეს, სად შეიძინეო. ზოგიერთი ზდანევიჩის ნაჩუქარი იყო. გამომძიებელმა ჰკითხა, სად შეიძლება, დავკითხოთ ზდანევიჩიო. მამამ, კუკიის სასაფლაოზეა და იქ დაჰკითხეთო. ორი კვირის შემდეგ გამომძიებელმა თამაზ პაპუაშვილმა დააბრუნა სახლიდან წაღებული ყველა სურათი და წიგნები, მაგრამ არ დაუბრუნებია „სააღდგომო ბატკანი“, გვითხრა,კვლევა გრძელდებაო.

რამდენიმე დღეში გამომძიებელმა ისევ დამირეკა, ეს სურათი სახელმწიფოს უნდა აჩუქოთო. მამამ კატეგორიული უარი თქვა.

10 დღეში მამამ მითხრა, სურათი სახელმწიფოს უნდა გადავცე, რაც შეიძლება სწრაფად აცნობე გამომძიებელსო. თურმე გაიგო, რომ 4 დღით ადრე გრიბოედოვის ქუჩაზე ოჯახიდან წაიღეს ერთი ძვირად ღირებული სურათი და ოჯახი ააწიოკეს...

გამომძიებელი გახარებული მოვიდა, რამდენიმე ბწკარიანი წერილი დააწერინა მამამ თავის დისშვილს:

„მე, დამიანე ალანია, ჩემს კუთვნილებაში არსებულ ნიკო ფიროსმანაშვილის „სააღდგომო ბატკანს“, რომელიც 21 დეკემბერს ჩამომართვეს შს სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომლებმა და ამჟამად ინახება შს სამინისტროს განკარგულებაში, გადავცემ ჩემი ქვეყნის სახელმწიფო მუზეუმს“ და მოაწერა ხელი.

გავიდა რამდენიმე დღე და გამომძიებელი პაპუაშვილი ისევ მირეკავს, სასწრაფოდ შემხვდითო. განცხადების შეცვლა მომთხოვა, ის წერილი თავზე დამახიესო. **წერილი არ მოეწონათ, რადგან ჩუქების ბათილობის ინფორმაციას შეიცავდა** (მამა იურისტი იყო და ეს წერილიც საგანგებოდ შეადგინა ორაზროვნად).

— შეცვალა ბატონმა დამიანემ განცხადება?

— უარი თქვა შეცვლაზე. პროკურორი თენგიზ ხარებავაც მონაწილეობდა ამ საქმეში. მითხრა, სურათის არამართლზომიერ შესყიდვასთან გვაქვს საქმე და კონფისკაციას ექვემდებარება, მაგრამ არ გვინდა, ამ ფორმით მოხდეს, გვინდა, გადასცეთ საჩუქრად სახელმწიფოსო. ამ გზით რომ არ გამოუვიდათ, სხვა ხერხს მიმართეს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გავიგეთ, რომ საქმიდან გამოყვეს ცალკე ეპიზოდი იმ ქალის წინააღმდეგ, ვისგანაც 2001 წელს მამამ მართლაც შეიძინა ნივთი. მეპატრონე მზია შავლაშვილი-თოფურია მისცეს პასუხისგებაში. თითქოს მამამ 2009 წელს მიმართა თხოვნით მზიას, რომ 2001 წლით დათარიღებული ყალბი საბუთი გაეცა და თითქოს ის დაეხმარა მამას საბუთის გაყალბებაში.

ასე გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება შავლაშვილს, გაასამართლეს და ნივთი სახელმწიფოს გადაეცა. ეს ამბავი 2013 წელს გავიგეთ. მზიას შევხვდი და მითხრა, არ იცი, რა გადავიტანეო. სამწუხაროდ, დეტალებზე არ საუბრობს“.

ალანიების ოჯახს „სააღდგომო ბატკანი“ დაუბრუნდება?

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ საქმის გამოძიება დროში გაიწელა. თუმცა, ალანიების მხარემ სამართალს ბოლოს მაინც მიაღწია. დამიანე ალანიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. ქალბატონს, რომელმაც დამიანე ალანიას ფიროსმანის ნახატი მიჰყიდა, ბრალდება მოუხსნეს.

ალანიების ოჯახის დაცვის მხარემ სამოქალაქო წესით სასამართლო დავაც წარმართა, რათა ნახატი დაებრუნებინათ. 27 თებერვალს სასამართლომ დაადგინა, რომ ფიროსმანის ნახატი ეროვნულ მუზეუმს უკანონო მფლობელობაში ჰქონდა.

საბოლოო ჯამში, თითქმის 8-წლიანი მცდელობის შემდეგ, მოსამართლემ ნახატი კეთილსინდისიერ მყიდველს დაუბრუნა.

გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ კულტურის სამინისტრო, ანდაც ეროვნული მუზეუმი მოსამართლის გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს, ეს იქნება პირველი საქმე, რომელზეც როგორც წინა ხელისუფლების ჩადენილ დანაშაულზე, სამართლიანობა აღდგა.

რუსა მუმლაძე

ლუვრი გაიხსნა



ორდღიანი დახურვის შემდეგ, პარიზში ლუვრის მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის კვლავ გაიხსნა.

როგორც იუწყებიან, მუზეუმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ადმინისტრაციის მიერ შემუშავდა საგანგებო ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა.

კორონავირუსის გავრცელების საშიშროების გამო, მუზეუმის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა კვირას, 1 მარტს მიიღეს.

ჯეიმს ბონდი ვირუსმა შეაშინა

ჯეიმს ბონდის ახალი ფილმის პრემიერა, რომელიც 8 აპრილს უნდა შემდგარიყო, კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო გადაიდო.

„გლობალური კინობაზრის სიღრმისეული შეფასების შედეგად გადაწყდა, რომ No Time to Die-ის („სიკვდილის დრო არ არის“) პრემიერა 2020 წლის ნოემბრამდე გადაიდება“, — ნათქვამია ფილმის პროდიუსერების განცხადებაში. ბრიტანელი სპეცაგენტის როლს უკვე მეხუთედ დენიელ კრეიგი, ხოლო მთავარ ბოროტ პერსონაჟს რამი მალეკი თამაშობს.

ფილმის რეჟისორი კერი ფუკუნაგაა, რომელმაც ამ თანამდებობაზე 2018 წლის აგვისტოში დენი ბოილი შეცვალა.

BMW-ს ახალი ლოგოტიპი

გერმანულმა ავტოკონცერნმა BMW-მ ახალი ორგანზომილებიანი ლოგოტიპი წარადგინა, რომელზეც ტრადიციული შავი ფერის წრე არ არის დატანილი. ცისფერი და თეთრი ფერის სექტორები კი უცვლელი დარჩა. კომპანიაში აღნიშნეს, რომ ახალი ემბლემა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მომხმარებლების მოზიდვას, ხოლო ლოგოტიპი ღიაობასა და სიცხადეს განასახიერებს. პირველი ავტომობილი, რომელზეც ახალი ლოგოტიპი იქნება დატანილი, BMW i4-ია, რომელიც ბაზარზე გაისად გამოვა.

◎ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

ᲛᲐᲛᲐ

„საყვარელო იანო, ბროლის თითებიანო,
მე რომ წერილი მოგწერე, არსად გამიხმიანო.“
აგაბო

მამას უყვარდა ეს სიმღერა, ზამთრის ღამეში,
ჩაუდგებოდა სხვა სინაზე ამ დროს თვალებში.
თავს აიღებდა, დედას ცერად გადახედავდა,
დედა საყვედურს ხუმრობითაც არ შებედავდა.

წასულან წლები, წასულან წლები,
რაც აღარა ხარ, წლები წასულან,
მოგონებების კარავს ვიგებ, ვზივარ და ვთბები
და უფრო ახლოს ვრჩები წარსულთან.

ჩაბალახიდან ამომხედავ, ბუხართან ვსხედვართ,
გარეთ თოვს, გარეთ დეკემბერის ლიგვი ღამეა,
ეს ის ჟამია, როცა ჩვენგან წავიდა დედა
და ოცი კაცის დარდი გვაწევს ორ ადამიანს.

რა, რა ცოცხლობდა ჩვენს დუმილში, დამღლელში იმ დროს?
რა, რა ჰყინავდა ბუხრის ალზე მიშვერილ ხელებს?
ჩემ თავს კი არა, მარადიულ საუფლოს მკვიდრო,
შენ გეკითხები შენი შვილი ოცი წლის მერე.

შეჯაბნებული ღამეებით გამოღმა ვდგავარ,
შენს სასუფეველს გაღმა შუქი ევარაყება,
მე კარგად ვიცი, თუ რაშიც გგავარ
და თავი სწორედ ამის გამო მეამაყება:

რბილი, დამთმობი ხასიათი, სიფიცხეც — ზოგჯერ,
მშვიდ გაღიმებას დავუმატებ ამ მკრთალ მონახაზს,
ვინაც გიცნობდა, მწამს დამიმოწმებს —
თუ ჩემი ლექსის წასაკითხად დროს გამონახავს.

...იქნება ქვეყნად ის ლამაზი „იანოც“ იყო
(იყო თუ არა, შენ ხომ მაინც ასე გენება), —
ასე ართმევდი ყოველდღიურ საზრუნავს მიმყოლ
ცხოვრებას, ზოგჯერ უმნიშვნელო ბედნიერებას.

ალალ! - რა გვიან გესარჩლები, შენ ვეღარ ისმენ,
ანდა ისმენ და მე ვერ ვგებულობ...
გამირბის მზერა შემოდგომის შეძარცვულ ტყისკენ,
მდუმარებასთან იძულებით შერიგებულო.

ამ ტყეებს ახლა სხვა სმენა უნდა
(თავს რომ მაწონებს ხარისთვალად, დეკად, მირკანად), —
ეგ იყო, ვინაც მესროლა გუნდა —
ბალახი ერთ დღეს შენი ხელით და მომიყვანა.

ვარ ჩაკეტილი ორ უსაზღვრო შეუცნობს შორის,
თრთის შესაცნობი, შემოსილი ფაფუკი ნისლით;
ვაითუ, ნისლშიც თავს იმალავს მარადი ჭორი,
აღმოჩენისას ირონიულ ღიმილის ღირსი.

ღამეა ახლაც, უსხეულო ფარდების გარეთ.
მე და შენ ვდგავართ — მამა და შვილი,
შენ მეტი იცი, მითხარი ბარემ,
მანდ როგორ ვფასობთ, ამქვეყნიურ შუქით და ჩრდილით?

თუ საქმე შუქზე უნდა მიდგეს, თამამი ვხდები,
მთელი სიცოცხლე შუქში გალიე,
...გამთენიისას ჭალებიდან მოიწევს ხმები —
შენი დაბალი კრინიც ახლავს მრავალჟამიერს.

ეს ის ხმა არის, აქ რომ დატოვე,
ის ნათელია, აქ რომ გემოსა...
როგორ გავუძლო მე უშენოდ ამ სიმარტოვეს
და იმერეთში მოქათქათე მარტის შემოსვლას.

ამ დროს იძახის „კაფე-თესეს“ გუგული ტყიდან
და მიწა ითხოვს ხელს და ფერებას;
ჩაიყენებდი ნატერფალში ყველაზე წმინდას —
მიწის ოხშივარს — მარადიულ ბედნიერებას.

ოხშივარიდან გამომღიმი, იმატებს სვრელი.
შვენის სანახებს თავის დახსნა ზამთრის მღვიმედან;
ჰა, ნაბოლარაც წამოგესწრო, შრომაში ხელი
წამოგაშველა და ამიტომ თუ გელიმება.

...გამიგორდება როცა ფეხქვეშ გორგალი ფიქრის,
გამიძნელდება წარმოსახვის მუნჯად შელევა,
და დედამიწაც მგონია იფქლის
მარცვალი, როცა ვარსკვლავებით ცა იმტვერება.

შენ, ამ მარცვალის მოერთგულეს და მონუგეშეს,
არ გიძებნია სხვა გზა ფარული;
ნაღვერდალივით შეხვეული გქონდა უბეში
მოძმის, მოყვასის ერთგულება და სიყვარული...

წარუვალიდან აშენებდი ამა წუთიერს,
სხვისი წუხილი როცა გულთან შენად მიგქონდა...
მე ჩემს ოცი წლის მონატრებას ღამე ვუთიე
და დამათენდა ელეგიის მტკივან სტრიქონთან.

ზვარში მოგელი, ვაზი პირველ კურცხალს იმეტებს, —
გავსხლათ, — მოგყვები, როგორც ვიცოდით;
წილნაყარია ვაზის ჯვართან ჩვენი სიკეთე
და საიდუმლო ჩვენი სიცოცხლის.

როცა მგონია, ჩემი თხოვნა მართლა ისმინე,
ამ დროს მადნება ხელში ხმანება;
თვალში ძვირფასი სამკული — ცრემლი ციმციმებს,
„დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“...

ნაზიარები მიწის სიბრძნეს, გაჩენის დღიდან,
რას მოითხოვდი, რას ეძებდი საკუთარ თავში?
რომელი ღლიდა, თუ მართლა ღლიდა,
შენში ერთმანეთს — ბერიკაცი ღლიდა თუ ბავშვი?!

ამ ორთა შორის გამობმულ სხივზე
(ყურს რომ მოწვდება: „მორწმუნენი ნეტარ არიან“...),
ოცი წლის მერეც ცოცხალივით მიმავალს გიმზერ, -
მამა ხარ ჩემი და მიხარია!

ᲖᲐᲐᲚ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ
ქუთაისი

◎ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ

ᲫᲚᲔᲕᲐᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ - ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲐᲛᲓᲔ



ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ — ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔᲡ რომ ესაუბრები, აუცილებლად მიაქცევ ყურადღებას მის ლექსიკაში დამკვიდრებულ თანამედროვე ქართველთათვის ასე გაუცხოებულ ეროვნულობის გამომხატველ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა სამშობლო და თანამემამულე.

შესაბამისად, ლოგიკურიცაა, ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებაში სახელოვან წინაპრებს გამორჩეული ადგილი რომ უკავიათ.

მის სადარბაზო ბარათად 2008 წელს გადაღებული სტუდენტური მოკლემეტრაჟიანი სადიპლომო ფილმი „დიდგორი“ იქცა 200-ზე მეტი მონაწილით, რომელშიც დავით აღმაშენებელი გუჯა ბურდულმა განასახიერა.

„ეს იყო ჩემი იდეა და სწორედ დიდგორის გაცოცხლების მისიით შევაბიჯე კინოინდუსტრიაში. იქიდან მოყოლებული, თითოეული გადადგმული ნაბიჯი დიდ დიდგორთან გვაახლოებს“— გვეუბნება პერიოდულად ამერიკაში მოღვაწე ხელოვანი, რომელიც საკუთარ პროექტებს მწარმოებელი კომპანია „ნიკოლოზ ფილმზით“ ახორციელებს და მას ძირითად მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს.

სხვათა შორის, ნიკოლოზს კულტურულ ასპარეზზე გზა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუთი დავულოცეთ, 12-წლიანი პაუზის შემდეგ ჩაწერილი დიალოგი კი მშობლიური რაჭიდან მისი დაბრუნებისთანავე „დაიბადა“.

„ამბროლაურში პოპულარულობით სარგებლობს სინემაკლუბი „რაჭა“, სადაც ეთო არსენიძე, ნანა მაისურაძე და გვანცა ჯანხოთელი ყოველ ოთხშაბათს აწყობენ კინოჩვენებებს. იქ ამჯერად ჩვენ წარმოვადგინეთ „ექვითმე ღვთისკაცი“, ხოლო შემდეგ ონში გვქონდა საინტერესო შეხვედრა ახალგაზრდობასთან, რომელზეც გადაწყდა უახლოეს მომავალში ამ ქალაქის შესახებ ფილმის გადაღება.“

— პერსპექტივას შევეხეთ და იქნებ სხვა ჩანაფიქრებიც გაგვანდო...

— სიამოვნებით, მალე დავიწყებთ ქართული ცეკვის, სიმღერისა და ღვინის შესახებ გადასაღებ ფილმ-მიუზიკლ „საქართველოსთვის“ ფინანსური მხარდაჭერის კამპანიას. ამ ეტაპზე ერთ-ერთ სცენას ვიღებთ და ვიმედოვნებთ, თანდათან ეროვნულად განწყობილი თანამემამულენი შემოგვიერთდებიან. ეს გახლავთ საერთაშორისო პროექტი, რომელშიც მთავარ როლებს ვინსენტ პერესი, რეზო ჩხიკვიშვილი, გიორგი მეგრელიშვილი, ლაშა კანკავა და ბაჩანა ჭანტურია ასრულებენ.

— ასეთი ძვირი სიამოვნება, დამეთანხმები, სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული...

— დიახ, ყველა გზა ფულთან მიდის, თუმცა, ჩვენს მოკეთეთა ქველმოქმედებას, ძირითადად, ერთჯერადი, სიმბოლური სახე აქვს. გამონაკლისს წარმოადგენს ღვინის კომპანია „შატო ზეგანის“ თავკაცი დავით ტატულაშვილი, რომელიც სამაგალითოდ გვიდგას მხარში. უმთავრესად, ჩემი და ჩემი მეგობრების ჯიბით ვარსებობთ, მაგრამ მჯერა, მალე მოვიყვანთ დროს, როცა მოვიზიდავთ ისეთ ინვესტიციებს, რომელიც საჭიროა მასშტაბური და წარმატებული ფილმების შესაქმნელად.

— ალბათ, ოკეანის გაღმიდან დანახული სამშობლო მაინც სხვაა...

— შენი სამშობლო ყველაზე კარგად სამშობლოდან შორს ჩანს, რომელზეც გული შეგტკივა და აფასებ. უბრალოდ, ვერ ვხვდები, ასეთ ლამაზ, კულტურულად და ისტორიულად მდიდარ, ურთიერთობებით გამორჩეულ სამშობლოს უკვე თაობათა განმავლობაში რატომ ამყოფებენ ასეთ ჭაობში.

— და ბოლოს, თქვენი ჯერჯერობით ყველაზე გახმაურებული ნამუშევარი „ექვთიმე ღვთისკაცი“...

— თვით ექვთიმე ჩემთვის ყველაზე მისაბაძი ქართველია, თანაც — უახლოესი წარსულიდან და მასზე შედარებით ბევრი ინფორმაცია მოგვეპოვება, მე კი მსურდა, უფრო ახლოს გამეცნო. გადაღების პროცესში ათასობით თანამემამულე შემოგვიერთდა და ექვთიმეს ლაშქარი გავხდით. სწორედ ქართველი ხალხის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად ჩვენში, შეიქმნა ფილმი „ექვთიმე ღვთისკაცი“. უდიდესი მადლობა რეზო ჩხიკვიშვილს მარად ჩვენი თანამედროვის ეკრანზე გაცოცხლებისათვის.

ესაუბრა
ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ლეგიონერები

შენგელიას ტიტული

ევროლიგაში „ბასკონიამ“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. XXVII ტურში ვიტორიელებმა მიუნხენში „ბაიერნს“ 80:71 აჯობეს. გერმანელებმა პირველ პერიოდში იმძლავრეს, მაგრამ შემდეგ თამაშის სადავეები სტუმართა ხელში გადავიდა და გამარჯვებაც „ბასკონიას“ დარჩა.

მატჩის MVP-ის ტიტული თორნიკე შენგელიას საკუთრება გახდა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 27 წუთში 11 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. შენგელიამ 6-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა, რაც თანაგუნდელთა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

„ბაიერნში“ მარგი ქმედების 29 კოეფიციენტი გრეგ მონროს ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან „ბასკონიამ“ იმარჯვა, MVP-ის ტიტული ქართველ კალათბურთელს ერგო. მეტ ჯენინგი საკუთარ გუნდს 24 წუთში 8 ქულით, 4 მოხსნით, 3 პასითა და 1 ჩაჭრით შეეწია (მარგი ქმედების 13 კოეფიციენტი).

„ბასკონიას“ 11 გამარჯვების საპირისპიროდ 16 მარცხი აქვს და საჩემპიონო ცხრილში მე-13 ადგილზეა. ესპანელები მომდევნო ტურში 7 მარტს ბერლინის „ალბას“ უმასპინძლებენ.

ბითაძის 9 ქულა

NBA-ში ზედიზედ 4 მოგების შემდგომ მარცხი განიცადა გოგა ბითაძის „ინდიანა პეისერზმა“. ქართველი კალათბურთელის გუნდი სტუმრად „მილუოკი ბაქსს“ დაუპირისპირდა და 19 ქულიანი სხვაობით — 119:100 წააგო.

აღნიშნულ მატჩში ნეით მაკმილანმა ქართველ ცენტრს სათამაშოდ არასრული 8 წუთი მისცა, რა დროშიც გოგამ 9 ქულა და 1 მოხსნა შეასრულა.

შეხვედრაში ყველაზე მეტი ქულა იანის ანტეტოკუნმპომ ჩააგდო. ბერძენმა კალათბურთელმა 28 წუთში 29 ქულა, 12 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, „ინდიანადან“ კი, ტრადიციულად, ორმაგი დუბლით დომანტას საბონისი გამოირჩა.

62 ტურის შემდგომ ინდიანაპოლისელებს 37 გამარჯვების საპირისპიროდ 25 მარცხი აქვთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 პოზიციაზე იმყოფებიან, მომდევნო შეხვედრას კი 7 მარტს „ჩიკაგო ბულზის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძიუდო

ფედერაციამ გამოარჩია

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გამართული გრანდ სლემი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ შეაჯამა და აღნიშნული ტურნირის 5 საუკეთესო გდების ვიდეო გამოაქვეყნა. საუკეთესო ხუთეულში პირველი ადგილი გურამ თუშიშვილს ერგო, რომელმაც ფინალში მასპინძელი იოჰანეს ფრეის დამარცხება 44 წამში ულამაზესი იპონით მოახერხა და ჩემპიონობა მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ფალავანმა დიუსელდორფის გრან პრიზე 5 ორთაბრძოლა ჩაატარა და ხუთივე დაპირისპირებაში იპონით გაიმარჯვა.

აქვე გეტყვით, რომ მეხუთე ადგილი იაპონელ ნაოჰისა ტაკატოს ერგო, მეოთხეზე ფრანგი ამანდინე ბუჩარდი გავიდა, საუკეთესო სამეულში კი კორეელი კიმ მინიონგი და გერმანელი ანა მარია ვაგნერი შევიდნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი

მამუკაშვილი - „ლესტერში“

საქართველოს ნაკრების მორაგბე შალვა მამუკაშვილი 2020-2021 წლების სეზონში „ლესტერ ტაიგერსის“ ღირსებას დაიცავს. ამის შესახებ ინგლისური გუნდის ვებ-გვერდი ოფიციალურად იტყობინება.

„შალვა გამოცდილი მორაგბეა, რომელიც ჩვენს შერკინებას გააძლიერებს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს გუნდში წარმატებით ითამაშებს და სარგებელს მოგვიტანს. ეროვნულ ნაკრებში 70 თამაშს ვერ ჩაატარებ, თუ შალვასნაირი პროფესიონალი და შრომისმოყვარე არ ხარ, ეს მასთან საუბარშიც შევამჩნიეთ“, - თქვა „ლესტერის“ თავკაცმა ჯორდან მერფმა.

„ლესტერი“ დიდი გუნდია მდიდარი ისტორიით და მოტივირებული ვარ, რომ 100%-ით დავიხარჯო და ინგლისში საუკეთესო წლები გავატარო“, — თქვა თავად ქართველმა.

მამუკაშვილის კარიერა „ყოჩებში“ დაიწყო, საიდანაც „არმიაში“ გადავიდა, მოგვიანებით კი „შარკზის“, „გლაზგო უორიორზის“, „მონპელიეს, „ტულონისა“ და „კარკასონის“ ღირსებას იცავდა. „ბორჯღალოსნებში“ მის ანგარიშზე 73 კეპია, 2015 და 2019 წლებში კი მსოფლიო თასზე ითამაშა.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

შესაძლოა, წავიდეს

კატალონიის „ბარსელონას“ მეკარემ მარკ-ანდრე ტერ შტეგენმა, შესაძლოა, ზაფხულში კლუბი დატოვოს. Catalunya Radio-სთან საუბარში გერმანელმა ფეხბურთელმა თავის მომავალზე და გუნდში დარჩენაზე კითხვას თავი აარიდა.

ამან კი გააჩინა ეჭვები, რომ ტერ შტეგენი „ბარსას“ დატოვებას არ გამორიცხავს. ჯერჯერობით სხვა დეტალური ცნობა არ ვრცელდება.

მარკ-ანდრეს კატალონიელებთან კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და მისი გამოსასყიდი ფასი 180 მილიონი ევროა.

გიორგი შოთაძე

◎ ვირუსი

ესპანეთში — უმაყურებლოდ!

ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსია“ — „ატალანტასა“ და ევროპა ლიგაში „ხეტაფე“ — „ინტერის“ მატჩები უმაყურებლოდ გაიმართება. ამის შესახებ ესპანეთის ჯანდაცვის მინისტრმა სალვადორ ილამ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში კორონავირუსის ეპიდემიაა და ვინაიდან „ინტერი“ და „ატალანტა“ ლომბარდიის რეგიონს წარმოადგენენ, ამ გუნდების სტუმრობა ესპანეთში ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაივლის.

„ის სპორტული ღონისძიებები, რომელშიც სავარაუდოდ გულშემატკივრები მაღალი რისკის ქვეშ იქნებიან, დახურულ კარს მიღმა უნდა ჩატარდეს“, — თქვა ილამ.

„ვალენსია“ — „ატალანტა“ 10 მარტს, ხოლო „ხეტაფე“ — „ინტერი“ 18 მარტს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ შეზღუდვები არ იმოქმედებს „ბარსელონა“ — „ნაპოლისა“ და „სევილია“ — „რომას“ მატჩებზე, რადგან იტალიის სამხრეთ ნაწილში ეპიდემია გავრცელებული არაა.

ბეჟან დოლიძე



◎ დაკარი 2022

საფუძველი ჩაეყარა

დაკარში 2022 წლის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის ახალი 50-ათასიანი სტადიონის — Stade du Senegal-ის მშენებლობას საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი.

სტადიონის მშენებლობის დაწყებაში მონაწილეობა მიიღო სენეგალის პრეზიდენტმა მაკი სალიმ.

არენა სრულ შესაბამისობაში იქნება ფიფას მოთხოვნებთან, ასევე შეეძლება მძლეოსნობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მიღება.

სენეგალის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მამადუ დიანია ნდიაიეს თქმით, არენა სპორტის ნამდვილი ტაძარი გახდება და დაკარს ორიენტირად აქცევს როგორც აფრიკის ქვეყნებისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის.

Stade du Senegal-ის მშენებლობის დაწყებას მიესალმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც.

სენეგალის დედაქალაქი დაკარი ზაფხულის IV ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს 2022 წლის 22 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით უმასპინძლებს.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

იცის „საგანი!“

გერმანიაში ერთ დროს იმედისმომცემად მიჩნეული და ახლა უკვე რანგით დაცემული, რიგით ვეტერანად ქცეული მობურთალი დენი აოგო უფრო მეტად დაიფარებოდა დავიწყების ნისლით, რომ არა მისი ცოლი ანა აოგო, რომელიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ქმარზე ბევრად პოპულარულია.

ანა აოგო სოციალური ქსელების ჭეშმარიტი ვარსკვლავია და ბოლო ორ წელიწადში არაერთ თამამ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ეს ფოტოები შემდეგ ჩვენ მიერ უკვე ხსენებული სოციალური ქსელებით მთელ პლანეტას ედება და პოპულარობის წყაროც ასე მარტივად ვიპოვეთ.

ანა აოგო ოფიციალურად მოდელობით სულ სამიოდე წელი იყო დაკავებული, მაგრამ შემდეგ თავად თქვა უარი გამუდმებულ დიეტებზე, სამოდელო სახლის მესვეურთა წინაშე ქედმოხრაზე და თავისუფლება არჩია, პოპულარობა კი დღეს ბევრ ცნობილ მოდელზე არანაკლები აქვს. როგორც ჩვენში იტყვიან, ამ ქალმა იცის „საგანი“!

როსტომ რაჭველიშვილი

ნიღბის მაგივრად – რჩევები!..

სამინისტრო მედიისთვის რეკომენდაციებს აქვეყნებს

ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი სპეციალურ რჩევებს აქვეყნებს მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის.

უწყება მედიის წარმომადგენლებს ურჩევს, რომ ვირუსის შესაძლო შემთხვევების გაშუქებისას მიკროფონი სპეციალური დამაგრძელებელი ჯოხებით დაიჭირონ.

„I. ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების და/ან შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქების დროს ჟურნალისტებმა/მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითავლისწინონ და დაიცვან მარტივი რჩევები:

ა) შესაძლო ინფიცირებულ ადამიანთან ახლო კავშირისგან თავის არიდება სამედიცინო ნიღბის გამოყენების გარეშე. ბ) შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქებისას ინტერვიუს წარმოება მიკროფონის დამჭერი გრძელი ჯოხით. გ) ინტერვიუს დროს მიკროფონის გამოყენება ღრუბლის გარეშე. დასრულებისთანავე მიკროფონის მთლიან კორპუსს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია. დ) უსაფრთხო მანძილის შენარჩუნება — არანაკლებ 1-1.5 მეტრი მანძილი ჟურნალისტსა და რესპონდენტებს შორის, განსაკუთრებით იმ პირებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ. რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი COVID-19 ინფექციით, ხველისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, ახლო მანძილზე, შესაძლებელია, მოხდეს ვირუსის ჩასუნთქვა. ე) სამუშაო პროცესის დასრულებისთანავე საჭიროა ნიღაბის მოხსნა, წინა ზედაპირის შეხების გარეშე და გადაგდება სანაგვე ყუთში. ვ) სველი წესით გაწმენდა და დეზინფექციის ჩატარება იმ ნივთებისთვის, მუშაობის პროცესში ხშირად რომ ეხებიან (ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რამდენ ხანს ინარჩუნებს ვირუსი სიცოცხლისუნარიანობას სხვადასხვა ზედაპირზე, თუმცა, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით — რამდენიმე საათს). ზ) ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა დაცული იყოს გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგადი რჩევებით. ხელის ხშირი დაბანა, არანაკლებ 20 წამის განმავლობაში საპნითა და წყლით, ან ხელის დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით. დაუშვებელია თვალების, ცხვირსა და პირის ღრუს დაუბანელი ხელით შეხება,“ — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

პაციენტის მდგომარეობა კლინიკურად მძიმე ფორმაა

გუშინდელი **მდგომარეობით ინფექციურ საავადმყოფოში 25 პაციენტია მოთავსებული. ინფექციური საავადმყოფოს კლინიკური ხელმძღვანელის მარინა ეზუგბაიას თქმით, 11 მათგანს დღეს ჩაუტარდება ტესტი ახალ კორონავირუსზე.**

21-ს ტესტირება ჩაუტარდა მათგან 20 პაციენტის შემთხვევაში პასუხი უარყოფითი იყო, ინფექცია დაუდგინდა მხოლოდ ერთ პაციენტს. ეზუგბაიას განცხადებით, მე-4 ინფიცირებულის მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე აქამდე დადასტურებული სამი პაციენტისა.

„ეს შემთხვევა არის მძიმე ფორმა, დაავადების მძიმე ფორმით არის გამოვლენილი. აქვს მაღალი ტემპერატურა. დაწყებული მკურნალობით მდგომარეობა დასტაბილურებულია. ამ მძიმე სიტუაციის შემდგომი პროგრესირება ჯერჯერობით არ გამოვლენილა, სიტუაცია სტაბილურია და ვფიქრობთ, რომ თუ არ მოხდება ამ დაავადების ამ მძიმე ფორმის კიდევ პროგრესირება, ალბათ, უნდა დაგვეწყოს გაუმჯობესება“, — განაცხადა ეზუგბაიამ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით საქართველოში კორონავირუსის მეოთხე შემთხვევა დაფიქსირდა. ეს შემთხვევა მოგზაურობის ისტორიით დაკავშირებულია იტალიასთან. ეს არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც კვირას შემოვიდა საქართველოში.

„თითქოს სიმპტომების გარეშე იყო, მაგრამ შემდეგ განუვითარდა მაღალი ტემპერატურა და დილით თავად მიმართა ინფექციურ საავადმყოფოს, გვიან ღამით ლაბორატორიულად დადასტურდა კორონავირუსი“, — ამბობს გამყრელიძე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 50 მილიარდს გამოყოფს

საერთაშორისო **სავალუტო ფონდი მზად არის, 50 მილიარდი დოლარი გამოყოს კორონავირუსთან ბრძოლაში ნაკლებად განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად.**

დეტალებზე ორგანიზაციის დირექტორმა კრისტალინა გეორგიევამ ისაუბრა.

„იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც შემოსავლების დაბალი დონე აქვთ, ჩვენ გვაქვს 10 მილიარდი დოლარის ოდენობის სწრაფი დაფინანსების შესაძლებლობა საგანგებო შემთხვევების დროს. ასევე არსებობს სწრაფი დაფინანსების ინსტრუმენტი. ამ მექანიზმის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდს შეუძლია უზრუნველყოს დაახლოებით 40 მილიარდი დოლარი განვითარებადი ბაზრებისთვის“, — განაცხადა მან.

კრისტალინა გეორგიევამ ასევე აღნიშნა, რომ კორონავირუსის გავრცელება საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკისთვის.

„ეს უკვე არა რეგიონალური, არამედ გლობალური პრობლემაა და პასუხიც გლობალური უნდა იყოს“, — დასძინა მან.

ბეთლემში მაცხოვრის შობის ტაძარი დაიხურება



კორონავირუსის **საფრთხის გამო ბეთლემში მაცხოვრის შობის ტაძარი დაიხურება. ამის შესახებ ინფორმაციას „ალჯაზირა“ ავრცელებს.**

გავრცელებული ცნობით, აღნიშნული გადაწყვეტილება პალესტინის ჯანდაცვის სამინისტრომ ერთ-ერთ სასტუმროში დადასტურებული კორონავირუსის შესაძლო შემთხვევის გამო მიიღო. სამინისტრო ეკლესიებს დახურვისკენ მოუწოდებს. ცნობილი გახდა, რომ ბეთლემთან ახლოს, ერთ-ერთ სასტუმროში კორონავირუსის ოთხი შესაძლო შემთხვევა დაფიქსირდა. ჯანდაცვის მინისტრის ინფორმაციით, ოთხივე ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. ისინი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არიან. პაციენტებს ტესტი აუღეს, რომლის პასუხებიც ჯერ ცნობილი არ არის. გავრცელებული ინფორმაციით, პაციენტები ამერიკელი და პოლონელი ტურისტები არიან.

ქართული სპორტის დიდი დანაკარგი

ჯონი შავლაყაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბიძაშვილი

რობერტ მიხეილის ძე შავლაყაძე

რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, „გიგანტთა მატჩში“ (აშშ-სსრკ) გამარჯვებული, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მსოფლიოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მრავალი სხვა უმაღლესი რანგის ორდენების კავალერი.

გარდაიცვალა ლევან მოსეშვილი

ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1968 წ.) და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962 წ.), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის „დინამოს“ მოთამაშე და შემდგომში ლეგენდარული მწვრთნელი — ლევან მოსეშვილი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლევან მოსეშვილი იყო: ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი (1964), სსრკ ვიცე-ჩემპიონი (1960, 1961, 1969), სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1965), სსრკ თასის მფლობელი (1969), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი (1959), სპორტის რაინდი — 2012 წ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედალის მფლობელი — 2015 წ, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ხაშურში ქმარმა ცოლი დაჭრა

ხაშურში **30 წლამდე ახალგაზრდა ქალი ქმარმა ცივი იარაღით დაჭრა.**

შემთხვევას გამვლელები შეესწრნენ. თვითმხილველების თქმით, მათ შორის ხმამაღალ შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი, რა დროსაც მამაკაცმა ახალგაზრდა ქალს დანა ჩაარტყა.

ადგილზე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. სამართალდამცველებმა სავარაუდო დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავეს.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა. თვითმხილველების ინფორმაციით, დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა.

განცხადება

ქალაქ რუსთავში, ნოტარიუს მაია მეტრეველთან (მისამართი: ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი №5-100) მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 2016 წლის 11 მარტს გარდაცვლილ მაშო პარასკევოვას (დაბადებული 1932 წლის 13 თებერვალი) სამკვიდრო ქონებაზე. დაინტერესებულმა პირებმა სამკვიდროს მისაღებად განცხადება შეგიძლიათ წარადგინოთ ზემოაღნიშნულ ნოტარიუსთან.

განმცხადებელი ზოია პარასკევოპულუ.

ახალი ცენტრი ბოტანიკურ ბაღში

ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ახალი ბოტანიკური ცენტრი აშენდება. მშენებლობას საფუძველი გუშინ თბილისის მერმა კახა კალაძემ ბოტანიკური ბაღის დირექტორთან თამაზ დარჩიძესთან და ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს გენერალურ მდივანთან პოლ სმიტთან ერთად ჩაუყარა. ახალი ცენტრი ლაბორატორიულ და ადმინისტრაციულ ინფრასტრუქტურას გააერთიანებს, ბაღის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად მიმართულებას მოიცავს და ბაღის სამეცნიერო-კვლევით, მცენარეთა საკონსერვაციო და საგანმანათლებლო მუშაობის ეფექტურობას გაზრდის.

2020 წელს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ოფიციალური სტატუსის მინიჭების 175 წელს აღნიშნავს. ბაღის ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ საიუბილეო წელს ახალი ბოტანიკური ცენტრის მშენებლობა ისტორიული დაწესებულების საქმიანობას უფრო ეფექტიანს გახდის.

ცენტრის მშენებლობაზე, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია „აგაჰ გრუპი“ განახორციელებს, 2.7 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროექტი 2021 წელს დასრულდება.

აბა, ნახეთ მოდინახე!

მოდინახეს ციხის არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სრულმასშტაბიანი რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ადგილობრივი გამგეობის დაფინანსებით სააგენტოს საპროექტო სამსახურის არქიტექტორებმა მოამზადეს, ფიზიკური სამუშაოები შპს „კირითხურომ“ შეასრულა. სარეაბილიტაციო პროცესი ფონდი „ქართუს“ მიერ დაფინანსდა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად ორივე კოშკზე შემავსებლისგან გამოფიტული საპირე წყობები ავთენტური ქვის მასალით აღდგა. კირდუღაბით მოეწყო საპირეებს შორის ბუტის წყობა. ნაწილობრივ აღდგა კოშკებს შორის ციხის კედელი.

მოდინახე ციხის რეაბილიტაცია 2018 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და მისი აღდგენა 2019 წელს დასრულდა.

მოდინახეს ციხე წარმოადგენს გვიანდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს. ის მდებარეობს იმერეთის მხარეში, ზღვის დონიდან 700 მეტრზე. აშენებულია მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში პაპუნა წერეთლის მიერ. ციხე იყო ფალავანდიშვილებისა და შემდეგ საჩხერელი წერეთლების რეზიდენცია

ნუ დავამახინჯებთ გრემის ტაძარს!

გრემის მთავარანგელოზთა მამათა მონასტერთან ყვარლის მუნიციპალიტეტის ოთხი სოფლის მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს. მოსახლეობა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი ტურისტული ობიექტის აშენებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ტერიტორიაზე შემოტანილი ტექნიკა ტაძარს დანგრევის საფრთხეს უქმნის.

გრემის მთავარანგელოზთა მონასტრის მღვდელმონაზონი იოანე ამბობს, რომ ტაძრის გუმბათიდან ბათქაში ჩამოცვივდა.

„ტაძარში ვიყავით და ვლოცულობდით. დაბლა, მდელოზე ტექნიკამ წყლისთვის მიწის დაბურღვა რომ დაიწყო, არ გასულა დიდი დრო, გუმბათიდან ჩამოიშალა ბათქაში“, — ამბობს მამა იოანე. ადგილობრივები ამბობენ, რომ ტერიტორიის გასხვისების შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. „ეს ტერიტორია ჩვენი წინაპრების სისხლითაა გაჟღენთილი, ტაძრის დანგრევის საფრთხის გამო, ჩვენ აქ არავის არაფრის აშენების უფლებას არ მივცემთ. მოსახლეობა ამ მდელოზე სახალხო დღესასწაულებს ვმართავთ, ასევე წმინდა ადგილია და არ შეიძლება, აუზებისა და ტუალეტების აქ აგება“, — აცხადებენ აქციის. მონაწილეები.

სკვერიც და სპორტული მოედანიც

სამგორის რაიონში კიდევ ერთი სკვერი და სპორტული მოედანი გაიხსნა. ქვემო სამგორში, ქინძმარაულის ქუჩის მეორე შესახვევში, №9 კორპუსის მიმდებარედ, დასასვენებელი სივრცე და სტადიონი მოეწყო. ახალი დასასვენებელი სივრცე სამგორის რაიონის გამგებელმა კახა სამხარაძემ დაათვალიერა.

სკვერში კაუჩუკისსაფარიან ზედაპირზე საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა, ტერიტორიაზე განთავსდა საბაღე სკამები და ურნები. ჩატარდა ჰიდროთესვის სამუშაოები. ასევე, საფეხმავლო ბილიკები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა. სკვერის გარშემო კი დამცავი მოაჯირია მოწყობილი.

სკვერში მოეწყო 400 კვ.მ ფართობის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი, რომელიც შშმ პირთათვის ადაპტირებულია. მოედანზე დამონტაჟდა კალათბურთის ფარები, მოეწყო გარე განათების სისტემა და მაყურებელთათვის ტრიბუნა.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 149 560 ლარია. სამუშაოები, სამგორის რაიონის გამგეობის დაფინანსებით, კონტრაქტორმა კომპანია „ალგე ჯგუფმა“ განახორციელა.

გლდანი დღითი დღე ლამაზდება



გლდანის მეოთხე მიკრორაიონში სკვერის მოწყობა დაიწყო.

გაკეთდება ბავშვთა გასართობი სივრცე, მოსასვენებელი პავილიონი, ღია სივრცე მაგიდის ჩოგბურთისთვის, გარე განათებისა და სარწყავი სისტემა. ასევე, განთავსდება სკვერისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, სკვერის ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანების სამუშაოებიც, დაირგვება ხეები და დაიგება ბუნებრივი ბალახი.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს, გლდანის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „ჩვენი ჯგუფი“ შეასრულებს, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 163 361 ლარია გათვალისწინებული.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7860; ევრო - 3.1064;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5652;
100 რუბლი - 4.2438; თურქული ლირა - 0.4583;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6409;
1000 სომხური დრამი - 5.8145.

ამინდი 6 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+2	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge